ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 11 დეკემბერი, 2019 №293 (8247) ფასი: 60 თეთრი

მოსკოვში საქართველოს მოქალაქე მამუკა დარჩია მოკლეს

„არტერიაში მოხვდა დანაო, ამბობენ“

გვ.5

10 დეკემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დედამ

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„კალაძემ შეიძლება ივანიშვილი გადაიყოლოს“

გვ.4

სოსო ცინცაძე: „კალაძეს ქუჩაში გინებას არავინ დაუწყებს, კობახიძეს კი თმას ღერა-ღერა დააგლეჯენ“

ეკა ბესელია: „მოსამართლეების კენჭისყრა „ოცნების“ დასასრული იქნება“

გვ.3

„ვანო ზარდიაშვილი დღევანდელი „ქართული ოცნების“ კოლექტიური სიმახინჯეა“

„ქურდული „ობშიაკისთვის“ ბაზრობებიდან და „მარშუტკების“ მძღოლებისგან 20-20 ლარი იკრიბება“

გვ.3

შალვა ხაჭაპურიძე: „2012 წლიდან ქუჩასაც და ციხესაც „შავები“ აკონტროლებენ“

„ივანიშვილი არსად წასვლას არ აპირებს, მაგრამ ამას ვერ მოახერხებს“

გვ.3

ბაჩუკი ქარდავა: „ხელისუფლება კუთხეში მიმწყვდეულ ვირთხასავით იქცევა“

გვ.5

სუსმა რეინჯერი გოჩა ჩ. დააკავა

რა გეგმები აქვთ გალის ახალ გამგებელსა და აფხაზეთის ახალ შს მინისტრს?

გვ.4

ოპოზიცია: „აფხაზეთში მოხდა კრიმინალის მასშტაბური შერწყმა ხელისუფლებასთან“

ISSN 1987-9385

2 ალექსანდრე ერქვანიამ „ოცნება“ და უმრავლესობა დატოვა

2 ნინო ლომჯარია: „ციხეს არაფორმალური გავლენის მქონე პირები მართავენ“

5 სტრასბურის სასამართლომ „რუსთავი 2“-ის ყოფილი მესაკუთრეების საჩივარი განსახილველად არ მიიღო

6 იური ლუჭკოვი გარდაიცვალა

ალექსანდრე ერქვანიამ „ოცნება“ და უმრავლესობა დატოვა

„გაფრთხილებთ, რომ პატრიარქის წაქცევას ვერავინ შეძლებთ!“

გუშინ, 10 დეკემბერს, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ალექსანდრე ერქვანიამ უმრავლესობა დატოვა. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, მიღებულ გადაწყვეტილებას ბევრი მიზეზი აქვს. მათ შორის არის საარჩევნო სისტემის საკითხიც.

მისივე თქმით, გადაწყვეტილების მიღებამდე კონსულტაციები არ ჰქონია არც ბიძინა ივანიშვილთან და არც გუნდთან.

– საერთოდ არ შევხვედრივარ და არც კონსულტაციები

მქონია. მერე გეტყვით ყველაფერს, – განაცხადა ალექსანდრე ერქვანიამ.

დეპუტატმა განცხადება პარლამენტის სხდომაზე გააკეთა.

– ხელისუფლების მხრიდან ეკლესიისა და პატრიარქის მიმართ გაკეთებული განცხადებები წინასაარჩევნო თვალთმაქცობაა. დღესასწაულებზე ტელეკამერების წინ ხელში კელაპტრებით დგომა ფარისევლობაა, – განაცხადა ალექსანდრე ერქვანიამ.

მისი თქმით, მოსახლეობაში სრული ნიჰილიზმი და უიმედობაა. ხალხის უმეტესობა მომავალზე ხელჩაქნეულია, ყველგან სერიოზული პრობლემები და სტაგნაციაა. ქვეყანაში ყოველდღიურად ღრმავდება პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. პოლიტიკოსების უმრავლესობას არ გააჩნია პასუხისმგებლობა ღვთის, ქვეყნისა და ერის წინაშე.

მიმდინარეობს ბრძოლა მხოლოდ ძალაუფლებისთვის, ფულისა და პირადი კეთილდღეობისთვის.

– სამწუხაროდ, ხელისუფლების დუმილმა, უმოქმედობამ და ზოგიერთების მხრიდან ფარულმა მხარდაჭერამ ხელი შეუწყო ეკლესიისადმი მტრულად განწყობილ ძალებს, წლების განმავლობაში ეწარმოებინათ ბრძოლა ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ. ამიტომ დღეს ხელისუფლების მხრიდან ეკლესიისა და პატრიარქის მიმართ გაკეთებული განცხადებები წინასაარჩევნო თვალთმაქცობაა.

ყველას, ვისაც ეკლესიაში შფოთის შეტანა და პატრიარქის საპატრიარქოს ტახტიდან ჩამოცილება სურს, მინდა გაგაფრთხილოთ, არ მოგატყუოთ პატრიარქის ასაკმა და მისმა ფიზიკურმა მდგომარეობამ.

მის წაქცევას ვერავინ შეძლებთ, რადგან უფალი მეფობს.

სადღეგრძელოებში გამოხატული ღვთის სიყვარული და პატრიარქის პატივისცემა, დღესასწაულებზე ტელეკამერების წინ ხელში კელაპტრებით დგომა ფარისევლობაა. სამწუხაროდ, ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გააცნობიერა, რომ ეკლესია და საქართველო განუყოფელია, ვერ გააცნობიერა, რომ ქართველი ერისთვის ყველაზე დიდი საუნჯე ჭეშმარიტი სარწმუნოება – მართლმადიდებლობაა.

აქვე მინდა, გიორგი კვირიკაშვილს ეკლესიისა და პატრიარქის ერთგულებისთვის მადლობა გადავუხადო. ვინ რა გააკეთა, ამას ისტორია განსჯის.

მინდა, მივმართო უმრავლესობის ლიდერებს – ვიცი და ვგრძნობ, როგორ დისკომფორტს განიცდით ჩემი განცხადებითა და სხვადასხვა საკითხზე ჩემი პოზიციების გამო. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ დღეიდან მოგიხსნათ ეს უხერხულობა.

ვტოვებ „ქართულ ოცნებასა“ და საპარლამენტო უმრავლესობას, ვრჩები დამოუკიდებელ დეპუტატად, – განაცხადა ალექსანდრე ერქვანიამ.

თამარ ჩუგოშვილი: „ჩვენი საარჩევნო სისტემა უსამართლოა და პოლიტიკურ კრიზისებს იწვევს“

– ის სისტემა, რომელიც ჩვენ გვაქვს ქვეყანაში, უსამართლოა. ეს სისტემა უზრუნველყოფს მარტივ რამეს: მოსახლეობის ნახევარზე ნაკლების მხარდაჭერით ის აბსოლუტურ ძალაუფლებას აძლევს ერთ პოლიტიკურ ძალას.

ამის შესახებ გუშინ, 10 დეკემბერს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ყოფილმა პირველმა ვიცესპიკერმა, დამოუკიდებელმა დეპუტატმა თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა.

თამარ ჩუგოშვილი გამოეხმაურა ქვეყანაში შექმნილ პროცესებს და მმართველ გუნდს შეახსენა, რომ ის წინასწარ აფრთხილებდა მათ სირთულეების შესახებ.

– დაახლოებით 1 თვის წინ, როდესაც პირველად გაჩნდა ნიშნები, რომ შეიძლებოდა ეს კენჭისყრა ჩავარდნილიყო და ეს ცვლილება არ ყოფილიყო მიღებული, კოლეგებო, ჩვენ გეუბნებოდით რამდენიმე რამეს:

ერთი, ჩვენ ვამბობდით, რომ ეს ჩაგდება გამოიწვევდა ძლივს კალაპოტში ჩაყენებული პოლიტიკური პროცესების ქუჩაში გადასროლას. გამოიწვევდა უკიდურესად გამწვავებას პროცესების, გეუბნებოდით, რომ უმრავლესობის ეს გადაწყვეტილება გამოიწვევდა საქართველოს მმართველი გუნდის ხელისუფლების მიმართ ნდობის განადგურებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე განსაკუთრებით ჩვენი პარტნიორების მხრიდან და უნდა შეგახსენოთ, პარტნიორების ნდობა ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ეს არ არის ხელწამოსაკრავი რამ, ჩვენ მათზე ვართ ხშირად დამოკიდებულები. ის სისტემა, რომელიც ქვეყანაში გვაქვს, არის უსამართლო. ეს სისტემა უზრუნველყოფს მარტივ რამეს: მოსახლეობის ნახევარზე ნაკლების მხარდაჭერით ის აბსოლუტურ ძალაუფლებას აძლევს ერთ პოლიტიკურ ძალას და, შესაბამისად, ყველა გადაწყვეტილების უკან, რომლებიც ქვეყანაში მიიღება, არ დგას მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

სწორედ ამიტომ იყო მნიშვნელოვანი და დღესაც მნიშვნელოვანია, მმართველმა ძალამ გაიაზროს, რომ სისტემა, რომელზეც წლების განმავლობაში ვიძახდით, რომ სტაბილურობისთვის იყო საჭირო, სტაბილურობას კი არ უზრუნველყოფს, უზრუნველყოფს ქუჩას, დესტაბილიზაციასა და პოლიტიკურ კრიზისებს, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

მისივე თქმით, დასავლურ პრესაში იწერება სტატიები საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რაც უარყოფითად მოქმედებს ინვესტორებსა და ტურისტების რაოდენობაზე, საბოლოო ჯამში კი – საქართველოს მოსახლეობაზე, რომელიც „ისედაც გაჭირვებაში ცხოვრობს“.

ნინო ლომჯარია: „ციხეს არაფორმალური გავლენის მქონე პირები მართავენ“

გუშინ, 10 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ პრესკონფერენცია გამართა.

– გამოიკვეთა პენიტენციარულ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა და არაფორმალური მმართველობის ფორმების მანკიერი პრაქტიკა, – განაცხადა მან.

ლომჯარიას განმარტებით, მონიტორინგის პროცესში, თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან და დაწესებულებების თანამშრომლებთან კომუნიკაციის შედეგად დგინდება არაფორმალური მმართველობის სისტემური ხასიათი, რაც კონკრეტული პატიმრების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებასა და დავის გადაწყვეტის არაფორმალური გზების არსებობას ადასტურებს.

– სავარაუდოდ, ეს არ არის ის კლასიკური შემთხვევა, რასაც ჰქვია ქურდების მიერ ციხის მართვა. თუმცა შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ისინი არიან ერთგვარი მაყურებლები ან არაფორმალური გავლენის მქონე პირები, რომლებსაც ეს ლეგიტიმაცია ციხეში აქვთ სწორედ ციხის ადმინისტრაციასთან და არიან ადამიანები, რომლებიც პატიმრებს ეუბნებიან, რომ ისინი მოუგვარებენ პრობლემებს, რომ მათ არ უნდა იჩივლონ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

რეალურად ისინი აგვარებენ ციხეში არსებულ სხვადასხვა პრობლემას. ამის დასტურია ისიც, რომ ჩვენთან საუბარიც ხშირად ხდება მათი თანდასწრებით და შეიმჩნევა ის, რომ ეს ადამიანები ერევიან, ფაქტობრივად, პატიმრების ყველა გადაწყვეტილებაში და აკონტროლებენ მათ საუბრებს, ქმედებებსა თუ კომუნიკაციას გარე სამყაროსთან, – განმარტა სახალხო დამცველმა.

მისი თქმით, არაფორმალური მმართველობისა და პენიტენციარულ დაწესებულებებში მოთავსებული ცალკეული პირებისთვის პრივილეგირებული მდგომარეობის პრობლემებსა და მისი მოგვარების საჭიროებაზე მიუთითებს ევროპის საბჭოს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტიც.

აღნიშნული პრობლემას სისტემური ხასიათი აქვს ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობის პატიმრები იყრიან თავს, შესაბამისად, ნინო ლომჯარია პრობლემის მოგვარებას ციხის ინფრასტრუქტურის შეცვლაში, მცირე ზომის საპატიმროების აშენებაში, ბადრაგის, ციხის ადმინისტრაციისა და სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდაში ხედავს.

ნინო ლომჯარიას განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი.

მინისტრი ციხეებში პრივილეგირებული პატიმრების არსებობას გამორიცხავს და ლომჯარიას სთავაზობს, მასთან ერთად შევიდეს საპატიმროში და მსჯავრდებულებს შეხვდეს.

წულუკიანის თქმით, მას ჰქონდა მოლოდინი, რომ კრიტიკა სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით იქნებოდა, რადგან ამ მხრივ გამოწვევები მართლაც არსებობს.

– წამობრძანდეს ჩემთან ერთად ე.წ. ზონებში, თუ ეს არის მისი ინტერესის საგანი, ჩამოართვას ხელი პატიმრებს ჩემთან ერთად, ვისაუბროთ და გადავჭრათ, თუკი რამე პრობლემა არსებობს.

მე მინდა, საზოგადოებას ვუთხრა, რომ დღეს ციხეებს მართავს სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს პატიმრების უფლებებზე. არავითარი კანონიერი ქურდის მმართველობა არც ერთ დაწესებულებაში არ არის და ვერ იქნება, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

პარლამენტმა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა

პარლამენტმა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა.

გუშინ, 10 დეკემბერს, პლენარულ სხდომაზე 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსია პარლამენტმა 83 ხმით 1-ის წინააღმდეგ დაამტკიცა.

2020 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის თანახმად, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი 2020 წლისთვის 4.5%-ით განისაზღვრა, რაც ბიუჯეტის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში არსებულ 5%-იან მაჩვენებელს 0.5%-ით ჩამორჩება.

ამასთან, 2020 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 53.1 მლრდ ლარს შეადგენს.

ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი – 14.554.2 მლნ ლარით, ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები) კი 14.432.9 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.

გადასახდელების მაჩვენებელი პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით 221.0 მლნ ლარითაა გაზრდილი.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბიუჯეტის დეფიციტი 2020 წელს ნაერთი ბიუჯეტისათვის მშპ-თან მიმართებაში 2.4%-ს შეადგენს. რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს, პროგნოზებში გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი და შეადგენს 3 %-ს.

„2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის შესრულებას, შენარჩუნებულია ეკონომიკური სტაბილურობისთვის საჭირო ყველა აუცილებელი პარამეტრი და, ამავდროულად, მაქსიმალურად არის ორიენტირებული მოქალაქეებზე“, – აღნიშნულია ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათში.

საქართველოს მოქალაქეების 64%-ს უარი ეთქვა აშშ-ის B კატეგორიის ვიზის მიღებაზე

„საქართველოს მოქალაქეების თითქმის 64%-ს უარი ეთქვა აშშ-ის B კატეგორიის ვიზის მიღებაზე“.

ამის შესახებ ფინანსისტი თემურ ბასილია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე პოსტს აქვეყნებს.

„ბიზნესპრესნიუსი“ მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

„ნამდვილად არ ველოდი ასეთ მძიმე სურათს: საქართველოს მოქალაქეების თითქმის 64%-ს უარი ეთქვა აშშ-ისB კატეგორიის ვიზის მიღებაზე. ეს გახლავთ სახელმწიფო დეპარტამენტის 2019 ფისკალური წლის მონაცემები. სურათი კიდევ უფრო მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, როდესაც გავეცნობით სხვა ქვეყნის მონაცემებს.

კერძოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველოზე უარესი მაჩვენებელი აქვთ მხოლოდ უზბეკეთსა (68%) და ყირგიზეთს (67%). კიდევ უფრო სავალალო სურათია უშუალო მეზობლებთან შედარებით; კერძოდ, სომხეთის მოქალაქეების 52%-მა მიიღო უარი, ხოლო, აზერბაიჯანის – მხოლოდ 25%-მა.

ცნობისთვის: B1 და B2 კატეგორიის ვიზები გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც დროებით ჩამოდიან აშშ-ში. კერძოდ,B1 ვიზა გახლავთ ბიზნესისთვის, ხოლოB2 ვიზა გაიცემა ტურისტებზე და სამედიცინო მიზნებისთვის. ასეთი კატეგორიის ვიზაზე ძირითადად უარს ეუბნებიან იმ პირებს, რომლებიც ვერ ასაბუთებენ, რომ აშშ-ში ხანმოკლე ვიზიტის შემდეგ დაბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში. სწორედ ეს გახლავთ საქართველოს მოქალაქეებზე უარის თქმის ასეთი მაღალი მაჩვენებლის მიზეზი.

რატომ მიმართავს ის ხალხი აშშ-ის საკონსულოს ვიზისთვის, რომლებმაც იციან, რომ დიდი ალბათობით უარყოფით პასუხს მიიღებენ? უბრალოდ, ისინი ფიქრობენ, რომ იქნებ „გაუმართლოთ“, იქნებ მაინც „ჩაურტყან“ ვიზა და ტურიზმის საბაბით წავიდნენ ემიგრაციაში. ასეთ ნაბიჯს კი უმთავრესად უიმედო მდგომარეობაში მყოფი ხალხი დგამს, ის ხალხი, ვისაც არა აქვს ხვალინდელი დღის იმედი საკუთარ ქვეყანაში“, – წერს ბასილია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეკა ბესელია: „მოსამართლეების კენჭისყრა „ოცნების“ დასასრული იქნება“

„ვანო ზარდიაშვილი დღევანდელი „ქართული ოცნების“ კოლექტიური სიმახინჯეა“

იაგო ნაცვლიშვილი

მიმდინარე სასესიო კვირაში პარლამენტმა უზენაესი მოსამართლეების სიას კენჭი უნდა უყაროს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეები უზენაესში უვადოდ გამწესდებიან, მათ შორის ისეთი მოსამართლეებიც, რომლებიც ე.წ. სასამართლო კლანის წევრებად ითვლებიან და არაერთი ხმაურიანი გადაწყვეტილების მიღების გამო მათ მიმართ საზოგადოებაში ბევრი კითხვა და ნეგატიური ფონია. კენჭისყრის პარალელურად იგეგმება აქციაც. კენჭისყრა, სავარაუდოდ, ხუთშაბათს გაიმართება.

ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა თბილისში მიმდინარე ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანათავმჯდომარე ანდრეი კუბილიუსმა, რომელმაც თქვა, რომ უზენაესის მოსამართლეების არჩევის პროცედურას ტაშს ვერ დაუკრავს.

– მივიღეთ ინფორმაცია, სადაც საუბარია მოსამართლეების შერჩევაზე. მესმის, რომ ეს პროცედურა პარლამენტმა და პარლამენტის ხელმძღვანელობამ გახადა ისეთი, რომელიც გულისხმობდა საჯარო მოსმენებს, კანდიდატების მიერ რთულ კითხვებზე პასუხს. ასეთი იყო პროცედურა, რომელსაც მე ტაშს ვერ დავუკრავდი.

რაც შეეხება პარლამენტის დამოკიდებულებას, როგორ მისცემენ ხმას ისინი, თუ ზოგიერთ კანდიდატს არ შეუძლია რთულ კითხვებზე პასუხის გაცემა. ამ შემთხვევაში ხმა როგორ უნდა მისცენ? ასე რომ, ისინი შესაბამის შედეგებს მიიღებენ, – განაცხადა ანდრეი კუბილიუსმა.

რას ელის, რას დაუპირისპირებს უმრავლესობის ქმედებებს და რა გამოსავალს ხედავს შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **ეკა ბესელია** საუბრობს.

– გასაგებია თქვენი მოლოდინი მოსამართლეების არჩევასთან დაკავშირებით, რომ, სავარაუდოდ, აირჩევენ მათ, მაგრამ ამ ვითარებაში რა გამოსავალს ხედავთ, რას დაუპირისპირებთ ამ პროცესს, რომ ეს ვითარება შეიცვალოს და გეგმავთ თუ არა ოპოზიცია, რომ საერთოდ მარტო დატოვოთ „ქართული ოცნება“ კენჭისყრის დროს?

– პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა, ყველა კანონიერი მეთოდით ხელი შევუშალოთ ამ ძალიან სახიფათო კენჭისყრას, რომელმაც დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება ქვეყანას უკან დაახევინოს და წარსულში დააბრუნოს.

ეს არის არჩევანი, რომელსაც „ქართული ოცნება“ ირჩევს დღეს და ნაციონალური მოძრაობის მემკვიდრეობას იბარებს თუ თავისი მმართველობის ბოლო წელს ასრულებს დანაპირებს.

ასე რომ, ახლა ამ წუთში, როდესაც მე თქვენ გელაპარაკებით, პარალელურად დეპუტატებისთვის ვამზადებ მოკლე დოსიეს, ძალიან მოკლედ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ეს მოსამართლეები. დეპუტატებს თუ დაეზარებათ ვრცელი დოკუმენტის წაკითხვა, მაშინ ისინი გაეცნონ ამ მოკლე დოკუმენტს, რომელიც იქნება დაახლოებით 3-გვერდიანი.

ეს იმისთვის, რომ მათ გადახედონ ამ გვარებს და გააცნობიერონ, ვინ არიან ეს ადამიანები და რასთან არიან დაკავშირებული, შემდეგ კი კარგად გაიაზრონ საკუთარი პასუხისმგებლობა.

– ამ დოკუმენტს დეპუტატებს ინდივიდუალურად დაუგზავნით?

– დიახ, ყველას დავუგზავნი ამ დოკუმენტს. მათ ეს დოკუმენტი დაურიგდებათ სესიაზე დარბაზში. ყველას დავუგზავნი ამ დოკუმენტს, რომ მათ კენჭისყრის წინ ედოთ ის და შეხედონ, ვიდრე კენჭისყრა დაიწყება.

რაც შეეხება იმას, რა მოხდება, 22 წელია, სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვი, მაგრამ ახლა მინდა, დავინახო კონკრეტული შედეგი. რაც უფრო მეტი კანდიდატი ჩავარდება, ჩავთვლი, რომ ეს არის ერთით მეტი გამარჯვება სასამართლოს კლანზე.

ვინც დარჩება და ვისაც აირჩევს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად „ქართული ოცნება“, თუ ისინი იქნებიან სწორედ იმ წარსულის ჯალათი მოსამართლეების სიიდან, მაშინ მე მჯერა, რომ მომავალ პარლამენტში, სადაც იქნება

სრულიად სხვა შემადგენლობა, მოიძებნება პოლიტიკური კონსენსუსი პარტიებს შორის, სადაც იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ მოსამართლეებისგან სასამართლოს გათავისუფლების თაობაზე.

ეს იქნება მომავალი ბრძოლის ამოცანა. ასე რომ, ამით ჩვენ არ დავასრულებთ ბრძოლას იქამდე, ვიდრე სასამართლო არ გახდება დამოუკიდებელი.

– ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანათავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროცედურას ტაშს ვერ დაუკრავდა. ეს არის დიპლომატიური გზავნილი, რაც ჩვეულებრივ ენაზე საკმაოდ კრიტიკული განცხადებაა. თქვენ მუშაობდით საერთაშორისო პარტნიორებთან და მიაწოდეთ ინფორმაცია, რა ხდება ამ თვალსაზრისით?

– დიახ, რასაკვირველია, ჩვენ გვქონდა ასეთი არაერთი შეხვედრა. მათ შორის იყო ერთი ძალიან საინტერესო შეხვედრა ევროპარლამენტის წევრებთან. იმ შეხვედრაზე ორი თემა იყო ძირითადად განხილული, რაზეც არსებობს ყველაზე დიდი შეშფოთება პარტნიორების მხრიდან. ერთია არჩევნები და მეორე – სასამართლოს რეფორმა.

ორივე ეს საკითხი იწვევს უდიდეს შეშფოთებას.

რა კრიტიკული განცხადებებიც დღეს ისმის, არის სწორედ ამ რეალური პრობლემების დანახვა. ახსენეთ თქვენ ბატონი ანდრეს კუბილიუსის განცხადება, რომელიც ბევრ რამეზე მეტყველებს.

– კენჭისყრის დღეს ხომ არ შესთავაზებთ კიდევ რამე სიახლეს ან სიურპრიზს საპარლამენტო უმრავლესობას?

– დიახ, მე მაქვს გეგმა, რომელსაც აუცილებლად მოგაწვდით მედიას თანდათანობით და პერიოდულად, ამ ეტაპზე კი ამას არ გავამჟღავნებ. ახლა ვმუშაობ დასკვნაზე იმისთვის, რომ ეს დასკვნა წარვუდგინო იურიდიულ კომიტეტსა და პარლამენტს.

– თუ ხელისუფლება მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, ეს იქნება თუ არა კიდევ ერთი ნაბიჯი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დასასრულისკენ?

– რა თქმა უნდა. ეს არის ისეთი მძიმე პოლიტიკური ფასის მატარებელი, რომ, დამერწმუნეთ, ამას ვერაფერი გადაფარავს. ვერაფერი გადაფარავს ამ ქვეყანაში აბსოლუტურად. ყველაზე მძიმე ფასს „ქართული ოცნება“ გადაიხდის სწორედ ამ კენჭისყრის შემდეგ.

– ვანო ზარდიაშვილს მუდმივად უპირისპირდებოდით და საინტერესოა, თქვენთვის რას ნიშნავს მისი ახალი თანამდებობა, რომელზეც მისი ხელფასი 14.000 ლარი იქნება?

– ვანო ზარდიაშვილი არის დღევანდელი „ქართული ოცნების“ კოლექტიური სიმახინჯე. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ გადაიბარა ნაციონალური მოძრაობის ნარჩენები და დღეს ის დარჩენილია სწორედ ამ ნარჩენების იმედად.

ზარდიაშვილი ყოველთვის ასრულებდა შავ და ბნელ დავალებებს. ის ყველა უღირსი საქმის მკადრებელია. ამიტომაც, ისეთი ადამიანები, როგორიც ვანო ზარდიაშვილია, თავიანთ ადგილს ყველგან პოულობენ, თქვენ წარმოიდგინეთ, მათ შორის იმ პარტიაშიც, რომელსაც ის ებრძოდა, როდესაც ნაციონალური მოძრაობა იყო ხელისუფლებაში.

„ქურდული „ობშიაკისთვის“ ბაზრობებიდან და „მარშუტკების“ მძღოლებისგან 20-20 ლარი იკრიბება“

შალვა ხაჭაპურიძე: „2012 წლიდან ქუჩასაც და ციხესაც „შავები“ აკონტროლებენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატი, უფლებადამცველი **შალვა ხაჭაპურიძე** პასუხობს.

– ბატონო შალვა, სახალხო დამცველმა პრესკონფერენცია გამართა და პენიტენციარულ სისტემაში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა. ნინო ლომჯარიას განცხადებით, გამოიკვეთა პენიტენციარულ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა და არაფორმალური მმართველობის მანკიერი პრაქტიკა. თქვენ ადვოკატი ბრძანდებით და ყოველდღიური შეხება გაქვთ ციხესთან. რა ხდება?

– მარტივად გეტყვით, ციხეს აკონტროლებენ მაყურებლები და „შავები“. იქ ეს ჩვეულებრივი ამბავია. უფრო მეტსაც გეტყვით, მაგალითად, ბაზრობებიდან 20 ლარი იკრიბება ქურდული „ობშიაკისთვის“. შეგიძლიათ გადაამოწმოთ კიდეც. ასევე „ობშიაკები“ იკრიბება „მარშუტკების“ მძღოლებიდან. ეს ხმები მოდის ჩვენამდე.

– ციხეს ისევ ქურდები მართავენ?

– ციხესაც და ქუჩასაც.

– გაექცათ პროცესი თუ უბრალოდ მიუშვეს სიტუაცია?

– პროცესი მიშვებულია. ქვეყანას არ მართავენ პროფესიონალები. სხვაგან სად აქვთ დავარცხნილ-დალაგებული სიტუაცია?! არსებობს რომელიმე მოწესრიგებული სფერო?! ქუჩას აკონტროლებენ კრიმინალები. ყველგან ქაოსია, როგორი პოლიტიკური პროცესებია. ეს ყველაფერი, რაც ხდება, სამწუხაროდ, მიზანმიმართულად ხდება, საით მივდივართ, კაცმა არ იცის და ეს ყველაფერი არის რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი.

– ციხეების ამბავიც?

– საერთოდ ასეა, ციხე არის ანარეკლი იმისა, რაც ქვეყანაში ხდება. ციხესა და სასამართლოში უფრო სწრაფად შეიგრძნობა ეს სიტუაცია. იმიტომ არის, რომ ადვოკატები პირველები ვგრძნობთ, საით უბერავს სიო პოლიტიკურად. ციხეში ეს უფრო მალე ჩანს. შემდეგ ეს გადმოდის გარეთ. ციხეში პროცესებს ვერ შენიღბავ. ქუჩაში, პიარითა და ათასგვარი მექანიზმით შენიღბულია ეს ყველაფერი.

– იმას, რაც ციხეში ხდება, პატიმრები არ აპროტესტებენ? ნინო ლომჯარია აცხადებს, რომ ე.წ. მაყურებლების მითითებით აკეთებენ ყველაფერს პატიმრები. საუბარს, გარე სამყაროსთან კავშირს, ყველაფერს ისინი უკონტროლებენ პატიმრებსო. ამაზე რას იტყვით, ასეა?

– კარგი დროსია ამაზე საუბარი-თქო, ლომჯარიას გადაეცით ჩემგან. ეს ყველაფერი ხდება 2012 წლიდან, „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

– თუ ასეა, ამაზე ღიად აქამდე რატომ არავინ საუბრობდა?

– როგორი არ იყო. მარტო მე იმდენი ინტერვიუ მაქვს ამ საკითხზე მიცემული და, თუ არ კითხულობენ, მათი პრობლემაა. ჩვენთან როგორ არის, ხომ იცით, სანამ ელიტური სახალხო

გაგრძელება მე-5 გვერდზე

„ივანიშვილი არსად წასვლას არ აპირებს, მაგრამ ამას ვერ მოახერხებს“

ბაჩუკი ქარდავა: „ხელისუფლება კუთხეში მიმწყვდეულ ვირთხასავით იქცევა“

ნათია ხურცილავა

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **ბაჩუკი ქარდავა** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ბაჩუკი, ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლაპარაკებებზე რას იტყვით, რამდენად შედეგიანი იქნება ისინი?

– ჩვენ ხელისუფლებას გამოსავალს ვთავაზობთ. თუ გონს არ მოეგებიან, მაშინ ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. ხელისუფლებამ ქართველი ხალხი მოატყუა, გადააგდო, ოპოზიციამ ამ ჩიხიდან გამოსავალი შესთავაზა ე.წ. გერმანული მოდელის სახით. ანტიკონსტიტუციურად მონათლული გერმანული მოდელი ახლა, მათივე აღიარებით, გამოდის, რომ მთლად ანტიკონსტიტუციური არ ყოფილა.

დოკუმენტი უკვე გადაგზავნილია ექსპერტიზისთვის ეუთო-ოდირში და ჩვენ პასუხის მოლოდინში ვართ. დარწმუნებული ვართ, რომ არანაირ ანტიკონსტიტუციურობაზე საუბარი არ იქნება. მერე უკვე ჯერი ხელისუფლებაზე იქნება.

არსებული საარჩევნო სისტემა ვერ გამოხატავს ამ ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობის ნებას. ამიტომ, ეს სისტემა არ არის სამართლიანი და სამართლიანი, პროპორციული სისტემით უნდა შეიცვალოს. ხალხის განწყობა, ხალხის ნება ზუსტად პროპორციულად უნდა აისახოს პარლამენტის შემადგენლობაზე. არანაირი ბონუსი და საჩუქარი ბიძინა ივანიშვილმა არ უნდა მიიღოს, რადგან ეს იქნება პირდაპირ ძალაუფლების უზურპაცია.

– მრავალმანდატიანი ოლქების შეთავაზება ნიშნავს თუ არა ოპოზიციის უკანდახევას?

– არავითარი უკანდახევა! ჩვენ არაფერი შეგვითავაზება. ეს არ არის სწორი ინფორმაცია. ასე გავრცელდა პრესაში, მაგრამ ეს არ არის სწორი. გერმანული მოდელის შემადგენელი ნაწილია მრავალმანდატიანი ოლქები. თუ ხელისუფლებას სურს, გერმანული მოდელი უარყოს, რაღაც ნაწილი ამოიღოს იქიდან და ამაზე ილაპარაკოს, არ ვიცი.

– კობახიძე ასე ამბობს.

– ესენი ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ მერე პირდაფჩენილს ტოვებენ ხალხს ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ. რა მნიშვნელობა აქვს, კობახიძე რას ამბობს, აქ მხოლოდ ერთი ადამიანის სიტყვას აქვს მნიშვნელობა და ეს ბიძინა ივანიშვილია. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მის სიტყვასაც არავითარი ფასი არ აქვს.

მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ გარკვეული მანიპულაციებიც უნდათ ამ მოლაპარაკებებში შესვლით, მაგრამ ჩვენ მოლაპარაკებებს არ დავარღვევთ. პარალელურად მაქსიმალურად გამოვიყენებთ საპროტესტო ტალღასაც.

მოლაპარაკების მაგიდა და ქუჩაც ერთდროულად კვლავ ძალაში რჩება. ოპოზიცია არც ერთ გზაზე არ ამბობს უარს. ჩვენ შევეცდებით, ყველა ბერკეტი გამოვიყენოთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავისი დანაპირები შეასრულოს.

– თუ არ შეასრულა?

– მოუწევს! ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებას ვერ მიიტაცებს. ძალაუფლების უზურპირებას ვერ შეძლებს.

– „ქართულ ოცნებას“ მესამე ვადით უნდა ხელისუფლებაში დარჩენა. ოპოზიცია შეძლებს მისი ამ სურვილის დაძლევას?

– ბიძინა ივანიშვილს მესამე ვადით კი არა, ძალიან ბევრი ვადით სურს დარჩენა, საერთოდ არ აპირებს არსად წასვლას, მაგრამ 21-ე საუკუნის საქართველოში ბიძინა ივანიშვილი ამას ვერ მოახერხებს.

– ბატონო ბაჩუკი, ოპოზიცია შეთანხმდა, 12 დეკემბერს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კენჭისყრის პარალელურად, პარლამენტთან საპროტესტო აქცია გაიმართოს. გავა 20 კაციანი სია?

– ჩვენ ამ კენჭისყრისთვის განსაკუთრებულად მოვემზადებით და ეს უნდა იცოდეს ხელისუფლებამ.

ამ კვირაში რეგლამენტის დარღვევით მუშაობს პარლამენტი. ხელისუფლება დაბნეულია, რადგან, როგორც არასდროს, ისე არის კუთხეში მიმწყვდეული ოპოზიციის და, რაც მთავარია, საზოგადოების მიერ.

ბიძინა ივანიშვილი ძალიან ადვილად გაიშიფრა. გაიშიფრა მოსამართლეების საკითხზე, საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, მოსახლეობისთვის მიცემულ დაპირებებთან დაკავშირებით.

როდესაც ვირთხას კუთხეში მიიმწყვდევ, ხომ იცით, როგორ იქცევა. აი, ზუსტად ასე იქცევა დღეს ხელისუფლება.

სიმართლე ოპოზიციის მხარეს არის. თუ ხელისუფლება გონს ვერ მოეგება და ყველას და ყველაფრის იგნორირებას მოახდენს, ეს საპროტესტო ტალღა წალეკავს. ამიტომ ჯობია, სწორედ სამართლიანი არჩევნებით გადაწყდეს, ვინ იქნება შემდეგი ხელისუფლება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვერ იქნება ბიძინა ივანიშვილი. როგორც ჩანს, თვითონაც მიხვდა და მაქინაციებით ცდილობს დროის გაჭიმვას, მაგრამ არ გამოვა.

ეს უნდა შეიგნოს.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

სოსო ცინცაძე: „კალაძემ შეიძლება ივანიშვილი გადაიყოლოს“

„კალაძეს ქუჩაში გინებას არავინ დაუწყებს, კობახიძეს კი თმას ღერა-ღერა დააგლეჯენ“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტის მიერ პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის ნიაღვარი ბიძინა ივანიშვილსა და რამდენიმე მაჟორიტარზე წამოვიდა, შემდეგ კი ამას „ქართული ოცნების“ რამდენიმე ლიდერიც დაემატა. ამ სიაში არ ჩანს კალაძე, რომელსაც შესაძლოა აწყობდეს კიდეც არსებული ვითარება „ოცნების“ კარზე გავლენების შენარჩუნების თვალსაზრისით.

რა როლი აქვს ამ პროცესში კახა კალაძეს? ხომ არ გადაიყოლებს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას კალაძე? და რა რესურსი აქვს დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის წამოსაწყებად? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** საუბრობს.

– როდესაც პროპორციულ არჩევნებზე ვსაუბრობთ, ყოველთვის ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს გგულისხმობთ. ამ პროცესში კახა კალაძის როლს სად ხედავთ?

– კალაძე ძალიან ირგებდა მთელი ამ წლების განმავლობაში რუხი კარდინალის როლს, მაგრამ კულისებს მიღმა რა პროცესები მიდიოდა, ეს ჩვენ არ ვიცით. ჩვენ თუ ერთპიროვნული მმართველობის კლასიკური ანატომიის მოდელში განვიხილავთ ამას, გამორიცხული იყო, რომ ამ 8 წლის მანძილზე კალაძეს მოქიშპეები არ გამოსჩენოდნენ. უბრალოდ შური, რომ რატომ აქვს მას ამხელა როლი და არა სხვას.

კალაძე ახერხებდა, რომ თან მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა და თან კარგი ბიჭის რეიტინგიც შეენარჩუნებინა და პოპულარობა არ დაეკარგა.

– ასეთი ვერსია არსებობს, რომ კალაძემ თავისი გუნდი გაყო ორ ნაწილად, რომელთან ნახევარმაც პროპორციულზე გადასვლის კანონპროექტის ჩაგებაში მონაწილეობა მიიღო, მეორე ნახევარმა პირიქით, მხარი დაუჭირა იმისთვის, რომ მასზე ეჭვი არ გაჩენილიყო.

– ესეც ბევრ რამეზე მეტყველებს. ჩვენთან ყველაფერი მნიშვნელოვანია. ზოგმა დაუჭირა, ზოგმა არ დაუჭირა. მე მგონია, რომ ეს იყო შეთანხმებული. თუ ეს მართლაც ხელისუფლების თამაში იყო, რასაკვირველია, გაიყოფოდა ხალხი და უკვე კალაძის ფრონტი გაირღვა.

გვახსოვს მისი ფრაზა, რომ დღეს მე ხელისუფლებაში ვარ, ხვალ ოპოზიციაში ვარ. მერე მიხვდა, რომ ცოტა დაუკრეფავში გადავიდა და დააზუსტა, რომ ჩემს გუნდთან, „ქართულ ოცნებასთან“ ერთადო.

აქ ხომ პირველი კალაძე იყო, რომელსაც წამოსცდა, რომ „ქართული ოცნება“ შეიძლება ოპოზიციაში აღმოჩნდეს. მთელი 9 წლის მანძილზე ნაციონალური მოძრაობის ვერც ერთ ლიდერს ვერ წამოაცდევინებდით, რომ ჩვენ შეიძლება ოპოზიციაში ვიყოთო. ასეა დღესაც – „ქართული ოცნების“ ლიდერებს ვერ წამოაცდევინებთ, რომ შეიძლება არჩევნები წააგონ. ხალხში უნდა იყოს ისეთი რწმენა, რომ „ოცნება“ მოიგებს ყველა არჩევნებს. ამ დროს კალაძე ამბობს, რომ ხვალ შეიძლება მე წავიდე ოპოზიციაშიო.

ეს არ იყო რაღაც როყიო წამოცდენა, ალბათ ამის უკან რაღაც წყენა არის. მიეჩვია კალაძე ამას. მახსოვს, როდესაც ივანიშვილი პირველ მთავრობას ადგენდა და დადგა კალაძის ენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის საკითხი, იქ ივანიშვილს წინააღმდეგობა შეხვდა. სხვათა შორის, თავის უახლოეს მრჩეველებში, მაგრამ მაშინ ივანიშვილმა ყველას ხელი აუქნია და თქვა, ეს კაცი ყველაზე მეტად დამეხმარა არჩევნებშიო.

კალაძე იყო მისი ნომერ პირველი ფავორიტი, მაგრამ ახერხებდა იმას, რომ ამ ფავორიტობით საზოგადოებას არ აღიზიანებდა. მაგრამ, კულისებს მიღმა, უახლოეს გარემოცვაში, ეს ყველაფერი ბევრს აღიზიანებდა.

– თუმცა, ისიც გვახსოვს, რომ ივანიშვილი ყველა არჩევნებში მონაწილეობდა სხვადასხვა ფორმით, თვითმმართველობის არჩევნების გარდა, როდესაც კალაძე გახდა მერი.

– კი. მაგრამ ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი. 2020 წლის არჩევნები არის პირველი შემთხვევა, როდესაც „ოცნება“ თავდაჯერებული ვეღარ მიდის არჩევნებში. ეს მომენტი უნდა დამდგარიყო და დადგა ეს მომენტიც.

– იმ სურათს ვერ ხედავთ, რომ, შესაძლოა, კალაძემ გადაიყოლოს თავად ბიძინა ივანიშვილი?

– გამორიცხული არ არის. ივანიშვილის უახლოეს გარემოცვაში დღეს კალაძე არის ყველაზე ახალგაზრდა. თანაც კალაძეს აქვს სერიოზული პირადი ბიზნესი, ამიტომ მას საფიქრალი მეტი აქვს.

8 წელი იყო კალაძე ივანიშვილის მთავარი ფავორიტი, ეს ძალიან ბევრია. კაცობრიობის ისტორიაში ასეთი პრეცედენტები არ არის. ეკატერინე მეორეს ფავორიტებიც კი არავინ ყოფილა 9 და 10 წელი. ამიტომ, ოდესღაც მოდის დრო, როდესაც ფავორიტს შეავიწროებენ და უბიძგებენ მეორე როლზე გადასვლას.

ახლა კალაძე ფავორიტობას მიჩვეულია, ამიტომ არის გამოთქმა, მიჩვეულს ნუ გადაჩვევო და პირად შეურაცხყოფად აღიქვამენ ასეთ ფაქტებს. ისტორიაში ბევრი შემთხვევაა, როდესაც ფავორიტი არა თუ მშვიდობით წასულა, არამედ თავისი ყოფილი მფარველის პირადი კრიტიკოსიც გამხდარა.

ეს კლასიკური სტანდარტია.

– იგივე საკაკაშვილი, ბურჯანაძე და ჟვანია ერთ დროს იყვნენ შევარდნაძის ფავორიტები, მაგრამ ვნახეთ, მერე როგორი ოპოზიცია გახდნენ მისი, რომ რევოლუციაც კი მოუწყვეს.

– რასაკვირველია. სწორედ ამას ვგულისხმობდი, მაგრამ ჯერჯერობით დასკვნების საშუალება მე არ მაქვს. მე მხოლოდ ვხედავ კონტურებს, ძალიან ბუნდოვან მონახაზებს.

– დავით ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ პროპორციული არჩევნების შემთხვევაში 4-5 დეპუტატს გაიყვანდა კალაძე, მაგრამ მაჟორიტარების შენარჩუნებისას გამგეობების მხარდაჭერა დასჭირდებათ, სამტრედიის ხმები იქნება მნიშვნელოვანი და 20-22-ს მოაგროვებს და ეს ისე გააკეთა, რომ დისტანცირება მოეხდინაო. თქვენ ხედავთ ამ ლოგიკას?

– კი, მაგრამ, საქმე იცით რაშია? ახალი ხალხი მოდის. კალაძეს დაჯავშნილი არ აქვს ეს რეზერვები შვეიცარიის ბანკში, რომ როცა უნდა გამოიტანს და დაარიგებს. კალაძის გუშინდელ კანდიდატს შეიძლება დღეს გამოუჩნდეს კალაძეზე ძლიერი მფარველი. ეს ის არ არის, რომ კალაძეს აქვს მუდამ 15-20 ადგილი.

– თუმცა დაწყებული რომ აქვს თავისი გუნდის შექმნა, ეს ხომ ჩანს?

– რასაკვირველია, ამას ვხედავთ. ვხედავთ იმასაც, როგორ იცვლება სიტუაცია, კობახიძე გუშინ პირველი კაცი იყო, დღეს ცდილობს, რომ გავლენით იყოს. არა თანამდებობითაც, არამედ მხოლოდ გავლენით, რაც უკვე მყიფე კონსტრუქციაა.

ჩვენნაირ სისტემაში, მკვეთრად ბიუროკრატიულ სისტემაში თუ პიროვნულ თვისებებს თანამდებობაც არ გიმაგრებს, მაშინ გინდა ბისმარკი იყავი, არაფერს არ ნიშნავს.

ამიტომ კობახიძის შემოდგომა დადგა, ვინაიდან ეს არჩევნები სერიოზულად შეარყევს მის პოზიციებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს არის ნომერ პირველი ექსტრემისტი. ქართულ პოლიტიკას ორი ექსტრემისტი ჰყავს – ღარიბაშვილი და კობახიძე. ადრე თუ გვიან ივანიშვილი მიხვდება, რომ ექსტრემისტები მას მხოლოდ ახალ უსიამოვნებებს უქადიან და რეიტინგის შემდგომ დაქვეითებას ჰპირდებიან, სხვა ვერაფერს.

– კალაძეს შეუძლია, წამოიწყოს დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში და თუ აქვს მას ამის რესურსი?

– კალაძეს, თანამდებობის გარდა, სხვა რესურსიც აქვს, თავისი წარსული საქმიანობიდან გამომდინარე. მას ეს სულ ჯერ არ დაუხარჯავს. ის იყო პირველი ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია მსოფლიო დონეზე. ის თაობა, ვისაც ახსოვს კალაძის ვარსკვლავის საათი „მილანში“, მისდამი ძალიან ლოიალურად არის განწყობილი. გარდა მაგისა, კალაძე ღია, მყვირალა კორუფციულ სკანდალში არ გახვეულა, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ოპოზიცია, ძირითადად ნაციონალური მოძრაობა რაღაც პრეტენზიებს უყენებს. მხოლოდ წვრილმანებია, მილანში რატომ შეუკვეთა ეს, განათებაზე ამდენი რატომ დახარჯა და ა. შ. მაგრამ, კალაძეს გაუმართლა, რომ კაბინეტში ჩაკეტილი მერის შემდეგ, არის ღია. ხალხი მას ქუჩაში ხედავს. ნარმანიას ქუჩაში ვერავინ ხედავდა. ნარმანია თქვენ გახსოვთ ქუჩაში?

– ნაკლებად.

– მე საერთოდ არ მახსოვს. ქუჩაში გასვლის ეშინოდა, კალაძეს არ ეშინია და ესეც მისი ერთ-ერთი აქტივია. ასე რომ, თუ კალაძე ფიქრობს, რომ შემდეგ დამოუკიდებელი თამაში წამოიწყოს, მას ეს რესურსი გააჩნია, რასაკვირველია, თუ მის მატერიალიზაციას პროფესიონალურ დონეზე მოახერხებს.

პრობლემა ეს არის, მოახერხებს თუ არა ამას.

– თქვენ როგორ ფიქრობთ?

– 50/50-ზე. მე ასე ვფიქრობ. ყოველ შემთხვევაში, კალაძის მიმართ არ არის აგრესია საზოგადოების მხრიდან. არ არის ისეთი აგრესია, როგორიც არის კობახიძის მიმართ, ღარიბაშვილის მიმართ და სხვა ლიდერების მიმართ. რა გინდათ, ჩამოვთვალო, თქვენ უკეთესად იცით.

კალაძეს შეუძლია ქუჩაში გამოვიდეს და გაიაროს. მას გინებას არავინ დაუწყებს, კვერცხებს არავინ ესვრის. აბა ერთი კობახიძემ გაიაროს თბილისის ქუჩაში.

– რა მოხდება?

– იმ თმას სულ ღერა-ღერა დააგლეჯენ.

სოფო ქაცარავას დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა

სოფო ქაცარავას დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა.

პარლამენტმა მხარი დაუჭირა დადგენილების პროექტს (78 მომხრე, 2 წინააღმდეგი), რომლის მიხედვითაც სოფო ქაცარავას დეპუტატის უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყდა.

პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ სოფო ქაცარავას გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატება უსურვა.

– პარლამენტის სახელით მსურს მადლობა გადავუხადო სოფიო ქაცარავას გაწეული სამუშაოსთვის. ამ წლების განმავლობაში ის ძალიან აქტიურად უძღვებოდა საგარეო საქმიანობას და კომიტეტს და თავს უფლებას ვაძლევ, რომ ყველას სახელით მას წარმატება ვუსურვო მომავალ კარიერულ ცხოვრებაში, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

შეგახსენებთ, რომ 14 ნოემბერს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კონსტიტუციური კანონის პროექტის ჩაგდების შემდეგ სოფო ქაცარავამ პარტია „ქართული ოცნებისა“ და საპარლამენტო უმრავლესობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

მოგვიანებით მან განაცხადა, რომ დეპუტატის მანდატსაც ტოვებს.

რა გეგმები აქვთ გალის ახალ გამგებელსა და აფხაზეთის ახალ შს მინისტრს?

ოპოზიცია: „აფხაზეთში მოხდა კრიმინალის მასშტაბური შერწყმა ხელისუფლებასთან“

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელმა თავისი „პრეზიდენტობის“ მორიგი ვადა ძალოვნების შეცვლით დაიწყო, თუმცა, ოკუპირებულ რესპუბლიკაში არ წყდება ვნებათაღელვა კრიმინალის მხრივ შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო.

ხაჯიმბა აცხადებს, რომ ფაქტობრივი შინაგან საქმეთა მინისტრი და გენპროკურორი ხალხის მოთხოვნით არ გადაუყენებია. მისი განმარტებით, მათ ვერ მოახერხეს მძიმე დანაშაულის დროულად გახსნა და ამიტომ გაუშვეს.

მანამდე სოხუმში ხალხი ქუჩაში იმავე დანაშაულის გამო გამოვიდა, რომლის გაუხსნელობასაც ხაჯიმბაც აღიარებს.

ეს დანაშაული 22 ნოემბერს, სოხუმის სანაპიროზე მდებარე რესტორან „სან-რემოში“ მოხდა. რესტორანს თავს დაესხნენ შეიარაღებული ნიღბიანები. მათ დახოცეს ასტამურ შამბა, ალხას ავიძბა და დაჭრეს სამი ადამიანი. ერთ-ერთი დაჭრილი, რესტორნის თანამშრომელი, დომინიკა აკირტავა მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დანაშაულში ეჭვმიტანილის, სოხუმელი ერიკ ჭკადუას ძებნა უკვე ახალი შს მინისტრის, რაულ სმირის ჩარევით, 9 დეკემბერს გამოცხადდა.

ამავე დღეს გახმაურდა კიდევ ერთი ფაქტი – პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი არტურ ანქვაბი ეჭვმიტანილია მეწარმე არტურ გრიგორიანის გატაცებაში.

ბიზნესმენების გატაცება აფხაზეთში არც ისეთი იშვიათია. ადგილობრივი გამტაცებლების სამიზნე ხშირად ხდებიან რუსეთიდან ჩამოსული ბიზნესმენები. ზოგი მათგანი აფხაზეთში სიტუაციის შესასწავლად იმყოფებოდა, ზოგიც ბიზნესს მისდევდა. ოკუპირებულ აფხაზეთში მძიმე დანაშაული ყოველთვის ყვაოდა და მუდმივად დაბალი იყო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი.

ბოლო წლებში აფხაზეთის საზოგადოება აღნიშნავდა, რომ კრიმინოგენული ფონი ხაჯიმბას მმართველობისას უფრო დამძიმდა. ხაჯიმბა სიტუაციის გაუმჯობესების პირობას ლამის ყოველი გამოსვლისას დებდა. 2017 წელს მან შინაგან საქმეთა უწყება რუსეთიდან ჩამოყვანილ აფხაზს, ჰარი არშბას ჩააბარა.

მას შემდეგ მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

– კრიმინალურმა თავაშვებულობამ და ნარკობიზნესმა ახალ დონეს მიაღწია. საფრთხეშია აფხაზეთის მოქალაქეების სიცოცხლე და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა, – აღნიშნავს ოპოზიციური პარტია „ამცახარა“.

„ახალი თაობის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ რამდენიმე თვის წინ მოწამლეს დე ფაქტო პრეზიდენტობის კანდიდატი ასლან ბჟანია. ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო მან მონაწილეობა ვერ მიიღო არჩევნებში და მომხრეებს ალხას კვიცინიას მხარდაჭერისკენ

მოუწოდა.

გერმანიაში მკურნალობის შემდეგ ასლან ბჟანია მოსკოვში გაემგზავრა, სადაც სარეაბილიტაციო კურსს იტარებს. აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ის შორიდან ეხმაურება.

– აფხაზეთში მოხდა კრიმინალის მასშტაბური შერწყმა ხელისუფლებასთან. ახალი ამბები აფხაზეთიდან ფრონტიდან მოსულ ცნობებს ჰგავს – მკვლელობები, ძარცვა და ადამიანების გატაცება ცხოვრების ნორმა გახდა. უკვე საშიში გახდა ბავშვებთან ერთად სოხუმის ცენტრში სეირნობა. არავინ გრძნობს თავს დაცულად – არც რიგითი მოქალაქე, არც პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ნებისმიერი შეიძლება გალახონ, მოწამლონ ან მოკლან. ეს არის ხაჯიმბას საქმიანობის შედეგი, – ამბობს ბჟანია.

იგი მოსამართლეთა კორპუსსაც მიმართავს და მოუწოდებს მოსამართლეებს, არ იყვნენ არავის მიერ მართულები.

„ამცახარა“ აფხაზეთის მთელი მმართველობის ორგანოების დეგრადაციაზე საუბრობს. ქართველებით დასახლებული გალის რაიონის ადმინისტრაციის უფროსის შეცვლა სწორედ ამ ფონზე მოხდა.

გალის ახალი გამგებელი ომარ ბგანბა უკვე ხვდება სოფლების ადმინისტრატორებს. მალე ის ხალხთან შეხვედრასაც გეგმავს.

ხაჯიმბას არ დაუსახელებია ყოფილი გამგებლის, თემურ ნადარაიას გადაყენების მიზეზი. სავარაუდოდ, ის ამ თანამდებობას მძიმე ანტიქართული განცხადებების გამო გაარიდეს, რაც გახდება საერთაშორისო ორგანიზაციების განსჯის საგანი.

ხაჯიმბას წარმომადგენელმა ბგანბას წარდგენისას იმედი გამოთქვა, რომ გალის რაიონი გააგრძელებს 5 წლის წინ ნადარაიას დროს დაწყებულ მიღწევებს და შეინარჩუნებს მაღალ მაჩვენებლებს სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და განათლების სფეროებში.

როგორც ჩანს, ოკუპირებულ აფხაზეთში გალის წარმატებად ითვლება ქართველების უსაბუთოდ დატოვება, დროდადრო ენგურის ერთადერთი გადმოსასვლელის სრულად ჩაკეტვა, სკოლებში ქართულის მთლიანად ამოძირკვა და იმ ახალგაზრდებისათვის პრობლემების შექმნა, რომლებიც ენგურგამოღმა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

სუსმა რეინჯერი გოჩა ჩ. დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერი გოჩა ჩ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გოჩა ჩ.-მ საქართველოს მოქალაქეს ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიიდან 500 ტომარა მინის ნაყოფიერი ფენის უკანონოდ მოპოვების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და ორ ნაწილად გამოართვა 3.500 ლარი.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

დიღომში, აღმაშენებლის ძეგლთან, ქალი ყელში დაჭრეს

დაკავებულია ლ.კ.

დიღომში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან, ქალი დაჭრეს. მისი მდგომარეობა მძიმეა. იგი სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.კ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე მდებარე ქვეითთა გადასასვლელ ხიდზე, 1991 წელს დაბადებულ ე.ბ.-ს ყელის არეში ცივი იარაღის გამოყენებით ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანა, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს. განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

მოსკოვში საქართველოს მოქალაქე მამუკა დარჩია მოკლეს

„არტერიაში მოხვდა დანაო, ამბობენ“

მოსკოვში საქართველოს მოქალაქე მოკლეს. მამუკა დარჩიას სასიკვდილო ჭრილობები, სავარაუდოდ, ცივი იარაღით მიაყენეს.

მომხდარ კრიმინალურ ფაქტთან დაკავშირებით გარდაცვლილის ახლობლებმა ინფორმაცია გუშინ მიიღეს, შესაბამისად, ისინი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კონკრეტულ კომენტარებს ვერ აკეთებენ.

9 დეკემბერს, საღამოს, მამუკა დარჩია მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ახლობლის დაბადების დღეზე, როდესაც წარსულ კონფლიქტთან დაკავშირებით სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა ერთ-ერთ პირთან, რაც შემდგომ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

სწორედ ამ ჩხუბის დროს მიაყენეს მას ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა.

მამუკა დარჩიას ახლობლები „კურიერთან“ არ აკონკრეტებენ, რას საქმიანობდა გარდაცვლილი მოსკოვში.

გარდაცვლილის ნათესავი თამაზ დარჩია აღნიშნავს, რომ დაპირისპირების მიზეზი არ იცის.

– კარგი ბავშვი იყო და არ ვიცი, რას საქმიანობდა. უბრალოდ ვიცი, რომ სწავლობდა იქ, არტერიაში მოხვდაო დანა, ამბობენ, – განაცხადა თამაზ დარჩიამ.

მამუკა დარჩია კონფლიქტის გამო საქართველოში ჩამოსვლას აპირებდა. ის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაილეთიდან იყო.

ამავე სოფლის რწმუნებულმა ზურაბ დარჩიამ „ინტერპრესნიუსს“ უთხრა, რომ გარდაცვლილი დედ-მამასთან ერთად მოსკოვში 30 წელი ცხოვრობდა.

– მამუკა დარჩია დედ-მამასთან ერთად მოსკოვში 30 წელია ცხოვრობს. სოფელში მხოლოდ მოხუცი ბებია ჰყავს. ის 40 წლამდე იყო. მოსკოვში რას საქმიანობდა, არ ვიცი. ცოლშვილი არ ჰყავს.

ველოდებით საქართველოში გადმოსვენებას და გვაინტერესებს, რატომ მოკლეს ჩვენი თანასოფლელი. სიმართლე ყველას გვაინტერესებს.

გარდაცვალების ამბავი გუშინ საღამოს შევიტყვეთ, თუმცა, შემთხვევა ზუსტად როდის მოხდა, არ ვიცით, – განაცხადა ზურაბ დარჩიამ.

სტრასბურის სასამართლომ „რუსთავი 2“-ის ყოფილი მესაკუთრეების საჩივარი განსახილველად არ მიიღო

სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებით, „რუსთავი 2“-ის საქმე არ გადაიხედება.

ამის შესახებ ბრიფინგზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, 10 დეკემბერს გამოქვეყნებული გადაწყვეტილების მიხედვით, 9 დეკემბერს სტრასბურის სასამართლოს 5-მა მოსამართლემ, ე.წ. ფილტრაციის კომიტეტმა იმსჯელა და განსახილველად არ მიიღო „რუსთავი 2“-ის ყოფილი მესაკუთრეების საჩივარი, რომლითაც ისინი სტრასბურის სასამართლოს 18 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვას სთხოვდნენ.

– შესაბამისად, „რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას, „რუსთავი 2“-ის ყოფილი მესაკუთრეების, ლევან ყარამანიშვილის, გიორგი ყარამანიშვილისა და შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ ყველა პრეტენზია, რომლებიც მათ სტრასბურის სასამართლოს წინაშე ჰქონდათ წარდგენილი, როგორც ისინი უარყოფილ იქნა 18 ივლისს და არც ერთი დარღვევა არ დადგინდა, ყველა ამ ნაწილში სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებები არის საბოლოო და არავითარ გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება, – განაცხადა წულუკიანმა.

მიხეილ კალანდიას ადვოკატმა ზურაბ თოდუამ ზაზა სარალიძეს პროკურატურაში უჩივლა

ზაზა სარალიძე: „მხოლოდ ჭეშმარიტება, ბატონო ზურაბ!“

ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მიხეილ კალანდიას ადვოკატმა ზურაბ თოდუამ ზაზა სარალიძის წინააღმდეგ გენერალურ პროკურატურას საჩივრით მიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატმა განუცხადა, საჩივარი მუქარის, ასევე დაცვის უფლების განხორციელებისთვის ხელის შეშლის თაობაზე შეიტანა.

ზურაბ თოდუა პროკურატურისგან რეაგირებას ითხოვს.

– გუშინ შევიტანე გენერალურ პროკურატურაში ზაზა სარალიძის წინააღმდეგ საჩივარი მუქარის და დაცვის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის თაობაზე. ასევე მოვითხოვე სათანადო რეაგირება პროკურატურისგან, რამეთუ ეს ადამიანი ავრცელებს ინფორმაციას, რომ თითქოს ვახორციელებ ზეწოლას მოწმეებზე და ამის გამო ეს მოწმეები ვერ ჰყვებიან სასამართლოზე ბრალდების სასარგებლოდ ინფორმაციას.

საჩივრის შეტანიდან დაახლოებით საათ-ნახევარში თავად ზაზა სარალიძემაც შეიტანა საჩივარი შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ მოწმეებზე თურმე კალანდიას ახლობლები სასამართლო დარბაზში შესვლამდე ახორციელებენ ზეწოლას და ამიტომ მოწმეები ვერ ლაპარაკობენ ბრალდების სასარგებლო ინფორმაციას.

მე საფუძველი მაქვს იმის გამო, რომ მან დაწერა სოციალურ ქსელში საკმაოდ მუქარის შემცველი ტექსტი ჩემ შესახებ. გარდა ამისა, იმ ბოლო პროცესზე, რომელიც იყო 6 დეკემბერს, სასამართლოში შესვლამდე ეზოში კიდევ ერთხელ გამაფრთხილა, ასევე სასამართლო დარბაზში კიდევ ერთხელ გამაფრთხილა, რომ მე ჭკვიანად უნდა ვიყო და ის ბოლო გაფრთხილება იყო 6 დეკემბერს, როდესაც ეზოში მომიახლოვდა და განმიცხადა ამის შესახებ.

ეს არ არის ცივილური ურთიერთობა, მე მესმის მისი მდგომარეობა, რომ მძიმე მდგომარეობაშია, გასაგებად ვეკიდები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე უდანაშაულო ადამიანები გასამართლდნენ ციხეებში, ახალგაზრდა ბავშვები.

მე მინდა, რომ ჭეშმარიტება დავადგინო, დავადგენ კიდეც, მაგრამ მას, ეტყობა, არ უნდა სხვა სიმართლე, იმ სიმართლის გარდა, რაც მას გამოუძია გამომძიებელმა კუპრავამ, – განაცხადა ადვოკატმა.

❖ ❖ ❖

აღნიშნულთან დაკავშირებით ზაზა სარალიძემ გუშინ, 10 დეკემბერს, ფეისბუქში დაწერა:

„2017 წლის 1 დეკემბერს ჯგუფურად იქნა მოკლული ორი არასრულწლოვანი, ერთ-ერთი ბრალდებულის, რომელსაც წარდგენილი აქვს ბრალი დავით სარალიძის ჯგუფურად მკვლელობაში, „მ.კ.“-ს უფლებადამცველმა საჩივარი შეიტანა ჩემ წინააღმდეგ, რაზედაც გამოძიება დაწყებულია და დავიკითხე კიდეც.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ყველანაირი კომენტარისგან თავს შევიკავებ და თქვენ, ზურიკო ბიძიკო (ბიძიკო, ბიძა, ბიძაჩემო, ბიძია და ა.შ. უფროსი ადამიანების მიმართ გამომხატველი სიტყვაა), გიტოვებთ სრულ უფლებას და გთხოვთ უმორჩილესად, თავად გაასაჯაროოთ მედიის თანდასწრებით ყველა დეტალი, თქვენ მიერ შეტანილი საჩივარიც და გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებებიც.

პ.ს. მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტება, ბატონო ზურაბ, მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტება!!!!!“

„ქურდული „ობშიაკისთვის“ ბაზრობებიდან და „მარშუტკების“ მძღოლებისგან 20-20 ლარი იკრიბება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დამცველი, ელიტური არასამთავრობო ორგანიზაცია არ იტყვის, სანამ ეს ელიტა არ ბრძანებს, მანამ არაფერი ხდება ქვეყანაზე. 2012 წლის მერე ეს ამბებია. მეტი რა ფაქტები გინდათ, ქუთაისში მაყურებლებმა არ მოკლეს პატიმარი?! ლომჯარია ადგა და ქულები ჩაიწერა, ვითომ დიდი ახალი ამბავი თქვა! ყველას ვეტყვი, თუ გინდათ, რას აკონტროლებენ და როგორ აკონტროლებენ.

– ჩვენ გვითხარით, რა ხდება ასეთი?

– შედით ბაზრობებზე და იკითხეთ, ყოველი დღის ბოლოს 20 ლარი რომ იკრიბება.

– ბაზრობიდან?

– დიახ, ყველა ბაზრობიდან და ახალ ამბავს ნამდვილად არ ვყვები.

– სად მიდის ეს ფული, ვის უგროვებენ, ციხეში ქურდებს?

– ციხეში კი არა, ქურდებთან მიდის საზღვარგარეთ. ისინი არიან ქუჩის გენერლები. ავტორიტეტები არიან და ისინი, ვინც სხედან, არიან, მაგათი ტერმინით რომ ვთქვათ, კაი ბიჭები. რა ვიცი, ათასნაირი ტერმინი აქვთ. ქუჩას თავისი წესები აქვს და ციხეს – თავისი. რამე განსაკუთრებული კი არ ხდება, რაც საბჭოთა კავშირის დროს არ გვინახავს. ისევ საბჭოთა კავშირში ვართ! საარჩევნო სისტემაზე რომ ლაპარაკობენ, მაჟორიტარული თუ პროპორციული, ტვინი რომ წაიღეს, პროპორციული, თორემ, პროპორციული ვერ ყალბდება. იქ ჰყავთ ჟვანია და, რასაც უნდა, იმას დაწერს, ვინ შეუშლის ხელს. სასამართლოთი მოიგებ თუ საიდან. სასამართლოში წახვალ, მურუსიძე დაგხვდება, აქეთ წამოხვალ – თადუმაძე.

„დღეს ჩვენთან მე-19 საუკუნეა! ნინო გვენეტაძე გააგდეს უზენაესი სასამართლოდან და ყალბი დიპლომის მქონე, დამნაშავე, თაღლითობაში მონაწილე თადუმაძე მოჰყავთ“

– ყველა მიმართულებით მძიმე სიტუაციაა. ვისმენთ შეფასებებს, ნაციონალების დროს ის მაინც იყო კარგი, რომ ქურდული სამყარო აღარ არსებობდა და კანონიერი ქურდები აღარ იყვნენ ამ ქვეყანაშიო.

– ნაციონალების დროსაც არსებობდა ქურდული სამყარო, ოღონდ მათ გარკვეული დონის კანონიერ ქურდებთან ჰქონდათ ურთიერთობა და, თუ რამე სჭირდებოდათ, მათი მეშვეობით აგვარებდნენ.

– ელიტური ქურდები ჰყავდათ?

– ერთი კაცი საერთოდ აქ ჰყავდათ, თბილისში და ის აგვარებდა ყველაფერს. თბილისში იყო, მთელი ნაცების პერიოდში არსად წასულა.

– ციხეში ასე გამოკვეთილად არ იყო ის სიტუაცია, რომელიც დღეს არის?

– ციხეში არ იყო, რა თქმა უნდა.

– ბაზრობებიდან, „მარშუტკების“ მძღოლებისგან, კიდევ საიდან გროვდება ეს „ობშიაკი“?

– საიდანაც კი შეიძლება ფულის ამოღება, ყველგან აკრებენ, რა პრობლემაა. კრიმინალურ სამყაროს აქვს თავისი წესები და ისინი მოქმედებენ თავიანთი წესებით.

– გამოდის, რომ ხელისუფლებამ მისცა გასაქანი და იმიტომ მოქმედებენ.

– მე იმას არ ვამბობ, რომ ხელისუფლების ხელდასხმით ხდება ეს ყველაფერი. ასე არ არის, მაგრამ კრიმინალურმა სამყარომ დაინახა ხელისუფლების სისუსტე და მოძლიერდა. დაინახეს კანონის აღსრულების სისუსტე და დაიწყეს მოქმედება. აბა, კრიმინალური სამყარო რა კრიმინალური სამყაროა, ყოველთვის ხელსაყრელ მომენტს ელოდება და დაუდგა კიდეც ეს მომენტი. არ ებრძვიანო, ამასაც ვერ ვიტყვით. გასამართლებულიც ბევრი ჰყავთ, თუმცა დიდია არაპროფესიონალიზმი, გულგრილობა.

– ვერ ერევიან ამ სიტუაციას?

– ვერ ერევიან. ვერ მოერევი, იმიტომ, რომ არ გაქვს ქვეყნის განვითარების სტრატეგია, არ გყავს გამოკვეთილი ლიდერები, რომელსაც გუნდი გაჰყვება.

– სად ხედავთ გამოსავალს?

– რა უნდა გითხრათ, გაურკვეველია ქვეყანა საით მიდის. აი, დღეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი წყდება პარლამენტში, მოსამართლეების დამტკიცებას ვგულისხმობ. ჩვენმა ორგანიზაციამ განცხადება გავაკეთეთ, მოვუწოდეთ საქართველოს პარლამენტს, რომ შეაჩერონ მოსამართლეების დანიშვნა და დაელოდონ ახალ საპარლამენტო არჩევნებს. შემდეგ უკვე ახალმა პარლამენტმა დანიშნოს ეს მოსამართლეები, რადგან ამ პარლამენტს თავი აქვს მოჭრილი მთელ საზოგადოებაში. ეს ის პარლამენტია, ბიძინა ივანიშვილის შეპირებული პროპორციული რომ ჩააგდო!

– აღარ აქვთ ნდობის მანდატი?

– არა. მათი ნდობა საზოგადოებაში ძალიან დაბალია. ჩვენ ვნახეთ ის კანდიდატები, რომლებსაც მოუსმინეს და ეს ადამიანები ან ამდენ ხანს როგორ მუშაობდნენ მოსამართლეებად? უზენაესში მუშაობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. აქედან ამოირჩევა მაქსიმუმ 5 ადამიანი, რომლებსაც შეიძლება, კენჭი უყარო. დანარჩენები კი უზენაეს სასამართლოს კი არა, საერთოდ სასამართლო სისტემას არ უნდა გააკარო, სასამართლო შენობასთან მიახლოებაც კი უნდა აუკრძალო, ისეთი რეპუტაციის მქონენი არიან!

მოვუწოდებ პარლამენტს, რომ ერთი პოზიტიური ნაბიჯი მაინც გადადგან, ნუ დაღუპავენ ამ ქვეყანას. შეხედეთ, ხალხო, რა ხდება სხვა ქვეყნებში და რა ხდება ჩვენთან! მარსზე და მთვარეზე მიფრინავს ხალხი, განვითარდა ქვეყნები, სად არის წასული ტექნოლოგიები და ჩვენ აქ რაზე ვლაპარაკობთ, ციხეს აკონტროლებენ თუ არა ქურდები?! აბა, რა გითხრათ, ვაი ჩვენს პატრონს! ჩვენ ამწუთას ვცხოვრობთ საბჭოთა მოდელში, ამიტომ გასაკვირი არაფერია.

– ჩავრჩით წარსულში?

– ჩარჩენილები ვართ! ავცდით ყველასა და ყველაფერს. ამას სჭირდება ძირეული ცვლილებები. დღეს ჩვენთან მეოცეც არა, მე-19 საუკუნეა! როდემდე უნდა ვიდგეთ საბჭოთა კავშირის პროკურატურასა და სასამართლო სისტემაზე?! იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ნინო გვენეტაძე გააგდეს უზენაესი სასამართლოდან და ყალბი დიპლომის მქონე, დამნაშავე, თაღლითობაში მონაწილე თადუმაძე მოჰყავთ. ხვდებით, საერთოდ სად ვართ?! ეს ყველაფერი მერე რითიც მთავრდება, რამდენჯერ გვაქვს ნანახი? მთავრდება რევოლუციით!

ზელენსკი: „პუტინთან ძნელია მოლაპარაკება“

– მე უფრო სწრაფი ადამიანი ვარ. ვფიქრობდი, „ჰოპ, ჰოპ“ და მოვილაპარაკებთ-მეთქი, მაგრამ ასე არ მოხდა.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან „ნორმანდიული ოთხეულის“ სამიტის ფარგლებში გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

– ძნელია მოლაპარაკება, მაგრამ, იყო მომენტები, როდესაც რაღაცაზე შევთანხმდით ზოგიერთ საკითხში. ის დეტალურად განიხილავს ყველა საკითხს და ჩვენ გვიწევს ყველა სიტყვის რეგულირება. ესეც რთულია. მე უფრო სწრაფი ადამიანი ვარ. ვფიქრობდი, ჰოპ, ჰოპ და მოვილაპარაკებთ-მეთქი, მაგრამ არა, სხვაგვარად მოხდა, – განაცხადა ზელენსკიმ.

მისივე თქმით, რადგან „ვსაუბრობთ, ეს ნიშნავს, რომ კონფლიქტი გაყინული არ არის“.

– ბევრი საკითხი წამოიჭრა. ჩემმა კოლეგებმა მითხრეს, რომ პირველი შეხვედრისთვის ძალიან კარგი რეზულტატი გვქონდა. ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, ეს ცოტაა. მეტად მინდოდა პრობლემის გადაჭრა. მთავარია, რომ ვისაუბრეთ, რადგან, თუ ვსაუბრობთ, ეს ნიშნავს, რომ კონფლიქტი გაყინული არ არის, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

9 დეკემბერს „ნორმანდიული ოთხეულის“ სამიტზე რუსეთის პრეზიდენტსა და მის უკრაინელ კოლეგას შორის პირისპირ შეხვედრა შედგა.

ჩეხეთის საავადმყოფოში 7 ადამიანი მოკლეს

ჩეხეთში ერთ-ერთ საავადმყოფოში მომხდარი სროლის დროს, სულ მცირე, 7 ადამიანი დაიღუპა.

ადგილობრივი პოლიციის ცნობით, ინციდენტი ამბულატორიულ განყოფილებაში მოხდა. მედიის ინფორმაციით, პოლიციამ საავადმყოფო დახურა, ხოლო მიმდებარე უნივერსიტეტიდან ევაკუაცია გამოაცხადა.

უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული მოდელი პლაჟზე მკვდარი იპოვეს

ინგლისის დევონის საგრაფოს ქალაქ ექსეტერის მცხოვრები გოგონა პლაჟზე მკვდარი იპოვეს.

28 წლის ჰოლი კაპრონმა 24 ნოემბერს, ღამით, მეგობრებს პარკიდან დაურეკა, მეორე დღეს კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. რამდენიმე დღის შემდეგ მის ცხედარს ქალაქ ბრიქსჰემის საზოგადოებრივ პლაჟზე მიაგნეს.

მეგობრების თქმით, კაპრონი, რომელსაც ორი წლის შვილი დარჩა, 19 წლიდან მოდელად მუშაობდა.

– ის პატარა, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე რაკეტა იყო, ყოველთვის თავს ართმევდა პრობლემებს და სახე მუდამ უღიმოდა, – განაცხადა მისმა 25 წლის მეგობარმა სოფი ბოულაზმა.

ასევე აღსანიშნავია, რომ კაპრონს ფსიქიკური აშლილობა ტანჯავდა და ადრეც გაუჩინარებულა, თუმცა ორ-სამ დღეში სახლში ბრუნდებოდა.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო. კაპრონის გაუჩინარებისა და სიკვდილის მიზეზებზე ინფორმაცია არ ვრცელდება, თუმცა დევონისა და კორნუოლის ოლქების პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გოგონას გარდაცვალებაში საეჭვო გარემოებებს ვერ ხედავენ. მომხდარის თაობაზე კაპრონის ნათესავებს უკვე აცნობეს.

მადონას ქალიშვილმა მოდის ჩვენებაზე ორგიის იმიტირება მოახდინა

ამერიკელი პოპ-შემსრულებლის მადონას ქალიშვილმა ლეონ ლუდრესმა მონაწილეობა მიიღო მაიამიში მოდის ჩვენების დროს გამართულ ორგიის იმიტაციაში.

სოციალურ ქსელებში გავრცელებულ კადრებში 23 წლის მოდელი, რომელსაც ყვავილებიანი ღრმად ჩაჭრილის კაბა აცვია, 30 მოდელთან ერთად პოზირებს. პერფომანსის დროს ისინი წყვილებად იყოფიან, ერთმანეთს ტანსაცმელს ხდიან და სქესობრივი აქტის იმიტაციას ახდენენ.

ასევე, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შოუს დაწყებამდე გოგონამ აუდიტორიას თავისი გაუპარსავი იღლიები უჩვენა.

ტრამპი ლავროვს შეხვდება

© picture alliance/dpa/A. Sherbak

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ვაშინგტონში ჩავიდა. დაგეგმილია შეხვედრები დონალდ ტრამპთან და სახელმწიფო მდივან პომპეოსთან. მოლაპარაკებების ძირითადი თემა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები იქნება.

ლავროვის ვიზიტი ფრიად არასახარბიელო ფონზე ეწყობა – ომი დონბასში, სავალალო ვითარება სირიაში და ა.შ.

ლავროვისა და პომპეოს მოლაპარაკებებს პრეზიდენტი ტრამპიც დაესწრება.

იური ლუჟკოვი გარდაიცვალა

მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი 83 წლის ასაკში ევროპაში გარდაიცვალა.

იური ლუჟკოვი მოსკოვის მერის თანამდებობაზე რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა 1992 წელს დანიშნა. ამის შემდეგ ის დედაქალაქის მერის თანამდებობაზე სამჯერ – 1996, 1999 და 2003 წლებში აირჩიეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

„მის სამყარო 2019“-ის გამარჯვებული გამოვლინდა

სილამაზის კონკურსი „მის სამყარო 2019“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელმა 26 წლის ზოზიბინი ტუნციმ მოიგო. ამ ინფორმაციას კონკურსის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

გოგონა მესამე სამხრეთაფრიკელია, რომელმაც „მის სამყაროს“ ტიტული მოიგო. ზოზიბინი ტუნცი აქტიურად გამოდის გენდერული განსხვავებულობის ნიადაგზე ძალადობის და სტერეოტიპების წინააღმდეგ.

კონკურსის ფინალისტების დაჯილდოება კვირას 8 დეკემბერს ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში გაიმართა. „მის სამყაროს ტიტულის მოსაპოვებლად 90 ქვეყნის წარმომადგენელი იბრძოდა.

მეორე ადგილზე პუერტო-რიკოს წარმომადგენელი 24 წლის მედისონ ანდერსონი გავიდა, ხოლო მესამე ადგილი მექსიკელ სილამაზის დედოფალ 25 წლის სოფია არაგონს ერგო.

კიმ კარდაშიანი საფუძვლიან ფოტოშოპში ამხილეს

ამერიკელი ტელევარსკვლავი კიმ კარდაშიანი თავის ერთ-ერთ ადრე გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე ფოტოშოპის გამოყენებაში ამხილეს. მას ყურადღება მიაქცია დახურული აკაუნტის ადმინისტრაციამ, რომელიც ცნობილი ადამიანების ფოტოშოპების გამოვლენითაა დაკავებული.

კოლაჟზე მარჯვნივ განთავსებულია ფოტო, რომელზეც ბიკინიში გამოწყობილი კარდაშიანი ყვავილებს შორის სახით ფოტოკამერისკენ წევს, მარცხნივ – ფოტოსურათია კომპიუტერის ეკრანიდან ორიგინალის მსგავსი კადრი იმავე ფოტოსესიიდან.

შედარებისას ჩანს, რომ ფოტოგრაფებმა დამუშავების შედეგად შესამჩნევად დააპატარავეს ტელევარსკვლავის მუცელი.

– ფოტოსურათი ანონიმურადაა გაკეთებული მონიტორიდან და ის ფოტოშოპით დამუშავებამდელია, – ნათქვამია ფოტოკოლაჟის აღწერაში.



ყოფილმა პროფესორმა ყოფილი საყვარლის მოკვლა შეუკვეთა

ამერიკის ფლორიდის შტატში ყოფილი პროფესორი ხუთი ადამიანის მკვლელობის ორგანიზებას ცდილობდა.

76 წლის გერი ბენგსტადი, რომელიც სასჯელს ცემისთვის იხდის, ფიქრობდა, რომ დანაშაულის შემსრულებელი სხვა პატიმარი გახდებოდა. მას ყოფილმა პროფესორმა მისცა სახლის სქემა, მის მიერ შესრულებული სამუშაოსთვის ოთხი ათას დოლარს და ნახმარ ავტომობილს შეჰპირდა. მას უნდა მოეკლა მისი ყოფილი საყვარელი, მისი შვილები, ასევე ერთი ან ორი ადამიანი, რომლებიც შესაძლოა ადგილზე აღმოჩენილიყვნენ. დახოცილების ცხედრებით მას ღორები და ალიგატორები უნდა დაენაყრებინა.

პატიმარმა, ეს ყოველივე გამოსასწორებელი დაწესებულების თანამშრომელს მოუყვა. თავდაპირველად ბენგსტადი ყველაფერს უარყოფდა, თუმცა შემდეგ ყველაფერი აღიარა და მოინანია.

– ძალიან, ძალიან გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გავაანალიზე და გონს მოვედი, – განაცხადა ბენგსტადმა, რომელსაც მკვლელობისკენ წაქეზების ხუთ შემთხვევაში აქვს ბრალი წაყენებული.

გერი ბენგსტადს სამეცნიერო ხარისხი აქვს და წარსულში კოლეჯში ასწავლიდა. 2017 წლის ოქტომბრიდან ის ხუთჯერ აღმოჩნდა საპატიმროში ოჯახური ძალადობის, ცემის, ფეხმძიმე მეზობელზე თავდასხმის და გამოსაცდელი ვადის პირობების დარღვევისთვის.

ცოლმა ქმრის სახლში შესაკავებლად საკუთარი პაბი გახსნა

ინგლისის დევონის საგრაფოს ქალაქ ნიუტონებოტის მცხოვრებმა საკუთარ ბაღში პაბი იმისთვის გახსნა, რომ მის მეუღლეს მეგობრებთან ერთად დრო სხვა პაბებში არ გაეტარებინა.

48 წლის ჯეინ ტეპერს მობეზრდა, რომ მისი ქმარი პოლი მუდმივად ადგილობრივ პაბში დადიოდა და გადაწყვიტა, რომ საკუთარი სახლის ეზოში ანალოგიური პატარა დაწესებულება გაეხსნა.

ქალმა 15 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა ბაღის ტერიტორიის გასაწმენდად და გასასწორებლად, შემდეგ კიდევ 2,5 ათასი ფუნტი ნაგებობაზე.

ოჯახი შეეცადა მაქსიმალურად გაეკეთებინა ეკონომია დეკორზე. სოციალურ ქსელში ყიდულობდა ინტერიერის ნახმარ ნივთებს. თუმცა ტეპერმა თავი ვერ შეიკავა და 100 ფუნტი დახარჯა საეკლესიო სკამის, ხოლო 650 ფუნტი სათამაშო ავტომატის შეძენაზე.

ტეპერმა პაბს „ტრაქტისი ძაღლის სორო“ დაარქვა. ის იქ საღამოების გატარებას და ოჯახთან ერთად დასვენებას გეგმავს.

წყვილის შვილებმა – 31 წლის ტომმა, 24 წლის ლორენმა და 26 წლის ჯეკმა გადაწყვიტეს, რომ ახალი პაბი მათ ალკოჰოლზე ფულის ეკონომიის საშუალებას მისცემთ. ჯეინის მეუღლე პოლსაც ასევე მოეწონა პაბი და იქ მეგობრებთან ერთად დადის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

იყიდება

● 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მსხმოიარე ხეხილით, სარწყავი და სასმელი წყლით უზრუნველყოფილი, გამდინარე ბუნებრივი წყლით, თევზებით. მისამართი: ქვემო ფონიჭალა. თბილისი-რუსთავის გზაზე. მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ: 577-28-46-10; 571-27-25-21.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბორჯღალოსნებმა კალენდარი გაარკვიეს

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული გუნდი რაგბი ევროპის ჩემპიონატის გათამაშებაში თებერვლიდან ჩაერთვება. უკვე დაზუსტდა კალენდარიც...

პირველ მატჩს ბორჯღალოსნები 1 თებერვალს თბილისში გამართავენ და მეტოქე ტრადიციული კონკურენტი რუმინეთის ნაკრები იქნება. აღსანიშნავია, რომ რუმინელები ახალ სეზონს დიდი ამბიციებით ხვდებიან და ახალი მწვრთნელიც ჰყავთ – ინგლისელი ენდი რობინსონი, რომელსაც ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებების თავკაცობის გამოცდილება აქვს.

მე-2 მატჩი 9 თებერვალს გაიმართება და ჩვენი ნაკრები სტუმრად ასევე მოლონიერებულ ესპანეთს დაუპირისპირდება, ხოლო 22 თებერვალს შინ აუტსაიდერ ბელგიის ეროვნულ გუნდს ვუმასპინძლებთ.

ბოლო 2 შეხვედრა მარტში გაიმართება: 7 მარტს პორტუგალიის ნაკრებს, რომელიც რაგბი ევროპის ჩემპიონატს წლეულს დაუბრუნდა, პარიზში, სტად ფრანსეს სტადიონზე ვეთამაშებით. ბოლო ტურში კი, 14 მარტს ისევ თბილისში ვითამაშებთ. მეტოქე რუსეთის ნაკრები იქნება.

აღსანიშნავია, რომ ამ გათამაშებას არაფერი საერთო არ ექნება მსოფლიოს თასთან, ხოლო მომდევნო 2 სეზონი (2021-2022 წლები) 2023 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირია, რომლის საგზურის მოპოვება იაპონიაში ვერ შევძელით. ფინალური ეტაპი საფრანგეთში გაიმართება.

ნაკრები ახალი მწვრთნელით ითამაშებს.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მარჩელო ლიპი სარის მხარს უჭერს

ტურინის იუვენტუსმა სეზონში პირველი მატჩი წააგო და უკვე აგორდა კლუბის ირგვლივ ჭორები. ჯერ-ჯერობით, ვინც იუვენტუსს იცავს, ცნობილი იტალიელი სპეციალისტი მარჩელო ლიპია, რომლის მოსაზრებით, იუვე კრიზისში არ იმყოფება.

მარჩელო ლიპი:

– ეს მაურისიო სარისთვის პირველი მარცხია და უმჯობესი იქნება, საქმის მშვიდად გაკეთების საშუალება მივცეთ. მოვუსმინე ანტონიო კასანოს კომენტარს, სადაც იგი ამბობს, რომ სარის უკვე 4 თვეა ელოდებიან. მაურისიოს ჯადოსნური ჯოხი არა აქვს და ვინმე თუ ლოდინით დაიღალა, ეს მისი პრობლემაა.

ერთი რამ ფაქტია – სარის მუშაობას დიდი ალბათობით აცდიან, მაგრამ თავად იუვენტუსი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში რომ შესაძლო მთელ რიგ ცვლილებებს განახორციელებს, ამას ვერ გავექცევით. ცხადია, ცვლილებები გუნდის გაძლიერებისკენ იქნება მიმართული.

ფაქტია ისიც, რომ სარი სერიოზულ პრობლემებს განიცდის მოედნის შუახაზში იმ თამაშის საჩვენებლად, რისთვისაც გუნდში მოიწვიეს. აქედან გამომდინარე, სარის ინტენსიური კონსულტაციები აქვს ხელმძღვანელობასთან და მათ შუახაზის კარდინალურ გადახალისებას სთხოვს.

კრისტიან ერიქსენი, სანდრო ტონალი და ივან რაკიტიჩი – ეს გრძელი სიიდან ის სამეულია, რომლის თავისთან ხილვა სარის მოსვლის წამიდან სურდა.

მოლაპარაკებები დანიელზე დაწყებულია და ახლა მისი ბედი მხოლოდ ფეხბურთელის ხელშია. გადმოვა თუ არა იანვარში ამას კლუბებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები გვაჩვენებს. ერიქსენის კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში იწურება და აქედან გამომდინარე ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

რაკიტიჩი ბარსელონას დატოვებასთან ახლოს არის და რამდენიც არ უნდა იძახოს ფაბიო პარატიჩიმ, რომ გუნდი მისით არ ინტერესდება, მედიის ფურცლებიდან საკმაო სიხშირით სხვაგვარ ცნობებს ვგებულობთ.

სხვათა შორის, ხორვატის ტურინულ მომავალზე შესაძლოა გარკვეული ზეგავლენა ემრე ჯანმაც მოახდინოს. გერმანელისთვის ტურინული კარიერა მას შემდეგ გართულდა, რაც გუნდში სარი მოვიდა.

სამი ხედირა ტრავმირებულია, ადრიენ რაბიო თავის თავს არ გავს და აქედან გამომდინარე, გერმანელს შანსი გაუჩნდა, თუმცა მისთვის უკვე ამ ყოველივეს დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. რაბიო თავს გუნდის წევრად აღარ მიიჩნევს და ამიტომაც მაქსიმუმს იზამს იტალიის დასატოვებლად.

ფრანგი ფეხბურთელის ერთ-ერთ ვარიანტად ბარსა სახელდება და, შესაბამისად, კლუბებმა ზაფხულში დაწყებული კონსულტაცია, შესაძლოა ზამთარში ორმხრივი წარმატებით დაასრულონ.

სანდრო ტონალი – ბრეშას ნახევარმცველი, რომელთანაც კონტაქტი არ წყდება. იუვენტუსს აჩქარება მართებს. პრობლემა მასიმო ჩელინოა, რომელიც გუნდის გადასარჩენად იბრძვის და ნიჭიერ შუახაზელთან განშორებას არ გეგმავს.

იუვენტუსი მზადყოფნას გამოთქვამს ბრეშას მარკო პიაცა და ნიკოლუსი კავილია დაუთმოს, თუმცა, ჩელინოს პასუხი ამ ვარიანტზე უცნობია.

ბუნებრივია, გარიგებაში გათვალისწინებული იქნება 20-30 მილიონიც.

ლანა ღოღობერიძე ზაზა ურუშაძეზე: „არ მშორდება განცდა, რომ რაღაც დავაკელი და ვერ ვუშველე“



რეჟისორი ლანა ღოღობერიძე თავისი უმცროსი კოლეგისა და მეგობრის ზაზა ურუშაძის გარდაცვალებას ეხმიანება:

– ჩემი ზაზა! ჩემი უმცროსი მეგობარი! ჩემთვის მუდამ პატარა ბიჭი!

რა სიტყვებით გამოვთქვა ჩემი გულისტკივილი, არ ვიცი. მე - შენ - გაცილებდე სამარის კარამდე?! მე - შენ!

შენ ჩემთვის ბოლომდე ის პატარა ბიჭი იყავი, პირველად რომ გნახე სარეჟისორო სახელოსნოს მისაღებ გამოცდებზე. ყველაზე ახალგაზრდა. 15 თუ 16 წლის ხუჭუჭა ბიჭი, დღეს არც კი ვიცი, მართლა ხუჭუჭა იყავი თუ არა, მაგრამ მე ასეთი დამამახსოვრდი. თვალები რაღაცნაირი, მძლავრი ენერგიით გიელავდა. ლადო ასათიანის ლექსი წაიკითხე: „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ“... ახლაც თვალწინ მიდგას, როგორი გზნებით ამბობდი ამ სიტყვებს: სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ! თუმცა მაშინ, ალბათ, ამ სიტყვის არსიც არ გესმოდა. რაღაც ძალიან ნაღდი დავინახე მაშინ ამ ბიჭში, და თუმცა ბავშვური ასაკი არ უწყობდა ხელს, უყოყმანოდ ამოვარჩიე რეჟისორობის მრავალრიცხოვან მსურველთა შორის. ამას მერე ხშირად იხსენებდა და უკვირდა, როგორ ამიყვანეთ ჯგუფში 16 წლის ბიჭი.

მერე, წლების მანძილზე, ზაზა ჩემთვის ნამდვილი ახლობელი გახდა. მართლა ახლობელი. მეგობარი. ხშირად მირეკავდა, მოდიოდა. ბევრს ვსაუბრობდით. ყველა თავის ჩანაფიქრზე მელაპარაკებოდა. ყველა სცენარს მაკითხებდა. მის კაბინეტში, კომპიუტერში, ბოლო ფილმის მასალაც მაჩვენა.

და მეც ვუზიარებდი ჩემ ჩანაფიქრებს, ფილმის გადაღებულ მასალასაც კი ვაჩვენებდი. ეს ბოლო ფილმიც ნახა, ერთ-ერთი მონტაჟის ეტაპზე. ახლაც მახსოვს, რამ დააეჭვა და მე, ბევრი ფიქრის მერე, მისი შენიშვნებიც გავითვალისწინე. ეს რომ ვუთხარი, ბევრი იცინა, რატომაც არა, ხომ შეიძლება მეც რაღაცა გასწავლოთო!

ძალიან, ძალიან ბედნიერი ვიყავი მისი არნახული საერთაშორისო წარმატებით! თვითონ ისე გულღიად და ამაყად მიყვებოდა ამ წარმატების ამბებს და ისევე, როგორც ამ 40 წლის წინ, ბავშვურად უელავდა თვალები. ანას წარმატებაც ეამაყებოდა ძალიან.

ფიცხი იყო, გურულებისთვის დამახასიათებლად ფიცხი. ბოლო ხანს კი აღმოჩნდა, რომ ეს მარტო სიფიცხე არ იყო, არამედ მგრძნობიარობაც. თურმე უკიდურესად მგრძნობიარე იყო. ალბათ, ზედმეტადაც? საკუთარი თავის საზიანოდ?

და მე არ მშორდება განცდა, რომ რაღაც დავაკელი და ვერ ვუშველე.

იქნებ შემეძლო და არ ვუშველე.

აკადემიაში მთელი იმ თურმე საბედისწერო დაპირისპირებების მერე, მისი წერილის მერე პრეზიდენტობიდან გადადგომის შესახებ, ვცდილობდი მასთან დაკავშირებას. ის არ მპასუხობდა. რამდენჯერმე ანასაც მივმართე.

ახლაც, ამ რამდენიმე დღის წინ, მინდოდა ფილმის პრემიერაზე დაპატიჟება. ტელეფონი გამორთული ჰქონდა. ერთი მეგობრის მეშვეობით ისევ ანას დავუკავშირდი. პასუხი ასეთი იყო: ჩაიკეტა და არავის არ პასუხობსო.

და მე არ მასვენებს ეს წყეული კითხვა: რა ხდება ჩვენს თავს?

რატომ არ გვესმის ერთმანეთის?

რატომ ვტკენთ ერთმანეთს გულს – ასე იოლად?

უცებ გამახსენდა კიდევ ერთი გულნატკენი, ასე ადრე წასული ამ წუთისოფლიდან, „დარდის შემგროვებელი“ გოდერძი ჩოხელი. ისიც ჩემი ნასტუდენტარი და ისიც ძალიან ახლობელი. ისიც გატყდა.

რა არის ჩვენი შეურიგებლობის არსი? რატომ ვუპირისპირდებით ერთმანეთს, ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლოდ?

ბოლო ხანს ეს გახდა ჩემი მთავარი წუხილი. ჩემი ფილმიც ამას ეხება, ადამიანის უნარს, გაუგოს სხვას, შეიგრძნოს სხვისი ტკივილი, უთანაგრძნოს მას. ზაზას ფილმში სწორედ ეს ხაზი მოსწონდა. თუმცა მაშინ სულაც არ ფიქრობდა, რომ მალე თვითონ აღმოჩნდებოდა დაპირისპირებისა და შეურიგებლობის შუაგულში.

ზაზას გული გაუსკდა.

იქნებ ამან დაგვაფიქროს და შევეცადოთ: გავუფრთხილდეთ ჩვენს გვერდით მყოფ ადამიანებს, არ ვატკინოთ ერთმანეთს გული.

ხშირად გავიხსენოთ: „ველზე ყაყაჩოთა ნაღვერდალი, წვიმის სევდიანი იდილია, წყალგაღმა არაფერი აღარ არის, წყალგაღმა მხოლოდ სიკვდილია.“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კოლხეთი და გურია მესამე ლიგაში გავარდნენ

ეროვნულ ლიგაზე საკმარისად გაწვდით ინფორმაციებს, რასაც ვერ ვიტყვით რანგით ქვედა, ეროვნული ლიგა 2-ზე. თუმცა, მნიშვნელოვან ამბებს უყურადღებოდ არც იქ ვტოვებთ.

9 დეკემბერს გაიმართა ფლეი აუტის საპასუხო მატჩები, სადაც ორივე მესამელიგელმა აჯობა მეორელიგელს – დუშეთის არაგვი და წყალტუბოს სამგურალი აღზევდნენ, ხოლო ტრადიციული და ძველი გუნდები ფოთის კოლხეთი და ლანჩხუთის გურია მესამე ლიგაში დაქვეითდნენ.

სამგურალმა პირველივე შეხვედრაში მოხსნა საკითხი, როცა ფოთის კოლხეთს სტუმრად 3:0 მოუგო. საპასუხო საშინაო შეხვედრაში კი ორმაგად გაამწარა და 6:0 სძლია... საერთო ჯამში 9:0 და უჩა სოსიაშვილის გაწვრთნილი სამგურალი ლიგა 2-ს დაუბრუნდა.

აი, მეორე შეხვედრაში კი მოულოდნელობა მოხდა. ლანჩხუთის გურიას სტუმრად 1:0 ჰქონდა მოგებული დუშეთის არაგვთან, შინ კი 0:2 წააგო...

პირველი გოლი ნიკოლოზ ხინთიბიძემ გაიტანა, როცა მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთს დაამატა. საქმე დამატებით დროში გადავიდა, იქ კი, გიორგი ჩიკვაიძის ჩაწოდებულს გიორგი სამადაშვილის თავური მოჰყვა – 0:2 და არაგვმა იმარჯვა.

გეტყვით, რომ არაგვს საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ვლადიმერ ბურდული წვრთნის, რომელსაც ამ კუთხით ეროვნულ ლიგაშიც უმუშავია.

უედლებები

9 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ჰემი-არსენალი 1:3

საატენიო ცხრილი:

1.ლივერპული	16	15	1	0	40-14	46
2.ლესტერი	16	12	2	2	39-10	38
3.სიტი	16	10	2	4	44-19	32
4.ჩელსი	16	9	2	5	31-24	29
5.მანჩესტერი	16	6	6	4	24-19	24
6.ვულვზი	16	5	9	2	23-19	24
7.ტოტენჰემი	16	6	5	5	30-23	23
8.შეფილდი	16	5	7	4	19-16	22
9.არსენალი	16	5	7	4	24-24	22
10.კრ.პალასი	16	6	4	6	14-18	22
11.ნიუკასლი	16	6	4	6	17-23	22
12.ბრაიტონი	16	5	4	7	20-24	19
13.ბარნლი	16	5	3	8	21-29	18
14.ევერტონი	16	5	2	9	19-28	17
15.ბორნმუთი	16	4	4	8	18-24	16
16.ვესტ ჰემი	16	4	4	8	18-28	16
17.ასტონ ვილა	16	4	3	9	23-28	15
18.საუთჰემპტონი	16	4	3	9	18-35	15
19.ნორვიჩი	16	3	2	11	17-34	11
20.უოტფორდი	16	1	6	9	9-30	9

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

შტუტგარტი-ნიურნბერგი 3:1

იტალია. სერია ბ

პერუჯა-კოზენცა 2:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

რიუ ავე-ჟილ ვისენტე 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-რიზე 1:0

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ოლბორგი 0:0

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 2. მონასტერი რაჭაში; 3. მხარე ავსტრიაში; 4. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 5. ნადირისგან დამცავი ძაღლის ეკლებიანი ყელსაბამი; 8. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განადგურება რასობრივი ან ეროვნული ნიშნით; 12. ქალაქის ტიპის დასახლება; 13. გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 14. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 16. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 18. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი.

თარაზულად: 6. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 7. კოსმოდრომი იაპონიაში; 8. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 9. გერმანული ავტომობილი; 10. მოსავლის ამღები მანქანა; 11. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი; 15. ფასიანი ქაღალდი; 17. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 19. შეიარაღებული მძარცველი, ბანდიტი; 21. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 22. ლიმონათის, ხილის წვენების გაჯერება ნახშირმჟავა აირით; 23. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ისაკაძე; 2. ლამარა; 3. ბაკურიანი; 4. კრიშნა; 5. ლომბარდი; 7. ვალი; 11. ნეპტუნი; 13. პუბლიკა; 15. თართი; 16. კეჩუა; 18. ღალღა; 19. ვეკუა.

თარაზულად: 6. საბვეი; 8. ხალვაში; 9. ორიგამი; 10. ალბიონი; 12. დაისი; 14. ზადარი; 17. ნაბეღლავი; 20. ღრუბელი; 21. მთიები; 22. ღამურა; 23. ზაქათალა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბოკერია; 2. დეფიციტი; 3. შაპიტო; 4. კილტი; 5. ნეგროიდი; 8. მაიოლიკა; 12. მომა; 13. დიაგრამა; 14. ოკრიბა; 16. მელიავა; 18. სქური; 20. იონი.

თარაზულად: 6. მონპელიე; 7. ახალციხე; 8. მორიტა; 9. ფრეზა; 10. დიაგნოზი; 11. პლომბირი; 15. პინაკოთეკა; 17. კარტიე; 19. ბარისტერი; 21. ტარაბუა; 22. ბატალიორი; 23. სინჯარა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9089	ევრო — 3.2210
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8319	100 რუსული რუბლი — 4.6194

ამინდის პროგნოზი 11 დეკემბერი



3 დეკემბრიდან

წიგნი I-II

რჩეული საბავშვო მოთხრობები

რჩეული მოთხრობების ორტომეული მოიცავს ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებებს. წიგნში შესულია 46 ავტორის 184 ნაწარმოები. ტექსტს ყველგან ახლავს რუბრიკა „სიტყვის არსი“, რომელშიც ლექსიკონის სახით განმარტებულია ყმაწვილებისათვის უცნობი, გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვები და ფრაზები.

ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი

პაატა ბურჭულაძეს ექიმების დახმარება დასჭირდა

ოპერის მომღერალ პაატა ბურჭულაძეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. მას ექიმების დახმარება დასჭირდა და ქირურგიული ოპერაციაც ჩაუტარდა:

– არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ ვხედავ, რომ მაინც ბევრმა გაიგო. დიდ მადლობას გიხდით ყურადღებისთვის და მაპატიეთ, რომ ყველას ვერ გპასუხობთ. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ჯერჯერობით კლინიკაში ვრჩები და გავდივარ სარეაბილიტაციო კურსს. ქირურგიული ჩარევა დამჭირდა ფეხზე და, როგორც აქ ამბობენ, სულ მალე ყველაფერი კარგად იქნება.

რაღაც პერიოდი ყავარჯნების ხმარება მომიწევს, მაგრამ ეს არ მაშინებს და არც ხელს შემიშლის, რომ საქართველოში ჩამოვიდე და 28 დეკემბერს დავესწრო ფონდ „იავნანას“ კონცერტს. ჩვენი პატარა ვუნდერკინდის ცოტნე ზედგინიძის გამოსვლა კონსერვატორიის დიდ სცენაზე, როგორც უკვე დავწერე, არ შემიძლია გამოვტოვო და ამიტომ დღეს ექიმისგან მივიღე ნებართვა და 28-ში შევხვდებით. ყველას დიდი მადლობა კეთილი სურვილებისთვის.

„ცეკვავენ ვარსკვლავებს“ მახო გარსევანიშვილი გამოეთიშა

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეცხრე სეზონი ნელ-ნელა ფინალს უახლოვდება და სულ მალე მისი გამარჯვებულიც გახდება ცნობილი.

ამ საკონკურსო ტურში არ გაუმართლა ფეხბურთელ მახო გარსევანიშვილს, რომელმაც თავის მეწყვილე ირა კვიტინსკაიასთან ერთად პროექტი დატოვა. ამ წყვილთან ერთად შოუდან გავარდნის კანდიდატები აღმოჩნდნენ მსახიობი ნოდარ სიმსივე და მზია ორველაშვილი. ორივე წყვილს ჟიურისგან თანაბარი ქულები ჰქონდა, თუმცა, მაყურებლის გადაწყვეტილებით, პროექტი მახო გარსევანიშვილმა დატოვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

11 დეკემბრისათვის

ვერძი – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– არ გეჩვენება, რომ დაქორწინების შემდეგ მამაკაცები ჭკვიანდებიან?

– რა თქმა უნდა, თუმცა უკვე გვიანია...

•••

– რატომ თხოვდებიან ქალები?

– ცხოვრებისეული გამოცდილების ნაკლებობის გამო.

– და რატომ ეყრებიან?

– მოთმინების უნარის ნაკლებობის გამო.

– და ისევ რატომ თხოვდებიან?

– მეხსიერების ნაკლებობის გამო.

•••

ქალმა წითურთმიანი ბავშვი გააჩინა და ექიმს ევედრება, მის გასამართლებლად რამე მოიფიქროს, ვინაიდან არც მის და არც მეუღლის გვარში წითური არავინ ჰყოლიათ.

ექიმი ქალის ქმარს თავისთან უხმობს და ეკითხება:

– მეუღლესთან სექსი როგორი ინტენსივობით გქონდათ?

– ასე... ორ თვეში ერთხელ.

– ჰოდა, აი, ნახეთ, რა შედეგი გამოიღო თქვენმა დაჟანგებულმა ღირსებამ!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენი მეზობელი ცოლქმარი ერთმანეთს რატომ დაშორდა?

– ქმარი სასწორი იყო, ცოლი – ქალწული...

– მერე?

– სასწორი გაფუჭდა, ქალწული გასუქდა...

•••

რუსი ცხოველების მუზეუმის თანამშრომელს ეუბნება:

– პირდაპირ გული მიკვდება, ამ დასპირტულ ცხოველებს, რომ ვხედავ!

– კი მაგრამ, იქ ხომ სულ სამი ბაყაყია...

– სწორედაც რომ სამი ბაყაყია. სპირტი კი – მთელი ათი ლიტრი!!!

სოლსკიაერი: „მანჩესტერს ტრანსფერები სჭირდება“

ოლე გუნარ სოლსკიაერმა მანჩესტერ იუნაიტედის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ იანვარში გუნდი აუცილებლად გააკეთებს ტრანსფერებს.

მიუხედავად ამისა, სოლსკიაერს კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია და ამის შესახებ მხოლოდ იანვარში გახდება ცნობილი:

– ბოლო შეხვედრებით კმაყოფილი ვარ და გუნდს აშკარად პროგრესი აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაძლიერება არ გვჭირდება და იანვარში აუცილებლად ვიყიდით ახალ მოთამაშეებს. ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი, ისინი ვინ იქნებიან, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩვენ უფრო გავძლიერდებით.

პსჟ ნეიმარს 180 მილიონად გაყიდის

ფრანგულ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პსჟ-მ შესაძლოა ნეიმარი ზაფხულში გაყიდოს, რადგან პარიზელები ბრაზილიელი ფეხბურთელის საქმის მიმართ დამოკიდებულებით უკმაყოფილონი არიან.

ნეიმარი ხშირად იღებს ტრავმებს და ნაკლებად შედეგიანია, თუმცა ბოლო შეხვედრაში მონპელიესთან მან ლამაზი ჯარიმა გაიტანა.

ზაფხულში ნეიმარი ახლოს იყო პსჟ-ს დატოვებასთან, მაგრამ მისი ბარსელონაში ტრანსფერი ჩაიშალა.

ნეიმარი პსჟ-ს 2017 წელს შეუერთდა და მისი ტრანსფერი პარიზელებს 222 მილიონი დაუჯდათ.

ფრედი ლუნდბერგი: „ყველაფერი ფეხბურთელებზეა დამოკიდებული“

არსენალის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა ფრედი ლუნდბერგმა გუნდის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ყველაფერი ფეხბურთელების ხელშია.

არსენალმა სტუმრად ვესტჰემი დაამარცხა 2:1 და ორი თვის განმავლობაში პირველი შეხვედრა მოიგო.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რადგან დიდი ხნის განმავლობაში არ გვქონდა მოგებული, რაც, ბუნებრივია, ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებდა. ყველაფერი მათ ხელშია, მე მხოლოდ იმისთვის ვარ, რომ ფეხბურთელები დავაკვალიანო, – განაცხადა ლუნდბერგმა.

დეშამმა საფრანგეთის ნაკრებთან კონტრაქტი გაახანგრძლივა



დიდიე დეშამმა საფრანგეთის ნაკრებთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც, ის ნაკრებში 2022 წლის ჩათვლით იმუშავებს.

დეშამმა საფრანგეთთან ერთად უკვე ბევრ წარმატებას მიაღწია და ფრანგები მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონები არიან, ხოლო 2016 წელს დეშამმა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, სადაც პორტუგალიასთან დამარცხდა.

დეშამმა განაცხადა, რომ კიდევ ბევრი მიზანი აქვს და მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს.

ატლეტიკომ კავანის ყიდვა გადაიფიქრა

მადრიდის ატლეტიკომ ედისონ კავანის ყიდვა გადაიფიქრა, რადგან კავანი უკვე სოლიდურ ასაკშია, დიეგო სიმეონე კი ახალგაზრდა ფორვარდს ეძებს.

კავანის პსჟ-დან წასვლა სურს და მისი ატლეტიკოში ტრანსფერი რეალური იყო, მაგრამ მადრიდელებმა გადაიფიქრეს.

წელს ატლეტიკო შეტევაში არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება და გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატში ამის გამო უკვე ბევრი ქულა დაკარგა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ალექსანდრე ზაზარაშვილი „ბრავო რეკორდსში“ სიმღერას წერს

12 წლის უნიჭიერესი მომღერალი ალექსანდრე ზაზარაშვილი ახალ სიმღერას წერს.

იგი „ბრავო რეკორდსს“ უკვე ესტუმრა და ახალი სიმღერის ჩაწერაზე მუშაობა დაიწყო. ალექსანდრე 2019 წლის საბავშვო უკრაინული ვოისის გამარჯვებულია. იგი მსოფლიო მასშტაბით პროექტ „ვოისის“ საუკეთესო მომღერლების რეიტინგშიც მოხვდა.

მომღერალი საქართველოს პირველი არხის მუსიკალური საბავშვო პროექტის, „რანინას“ მონაწილე იყო. ის „რანინას“ კონკურსში 2018 წელს მონაწილეობდა, თუმცა გამარჯვება ვერ შეძლო. მანამდე კი ალექსანდრემ „ნიჭიერში“ მიიღო მონაწილეობა და მაყურებელი თავისი შესაძლებლობებით მოხიბლა.

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 2. ლუთერანული ეკლესია; 3. პურეული მცენარე; 5. ღვინის სასმისი; 6. კინოსა და თეატრის ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი; 8. ლუდის ღვთაებად მიჩნეული მითოლოგიური ფლანდრიელი მეფე; 10. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 12. პროვინციის მმართველი სპარსეთში, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე, ოქრომჭედელი; 16. ფრანგული სამოდელო ფირმა.

თარაზულად: 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 4. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსასხამი; 7. ორგანიზმის შემადგენელი უმარტივესი ერთეული; 9. ახლად ამოსული პურის ყანა; 11. ძველი ბერძნების წარმოდგენით, ცის ყველაზე მაღალი ნაწილი, სადაც წმინდანები ცხოვრობდნენ; 12. პატარა ქირურგიული დანა; 13. ფრანგული პური; 17. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 18. იაპონური ჭიდაობა; 19. მომავლის რწმენა; 20. დუქნის დახლიდარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა